ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Alkhali Taoba

„საქართველოში მედიკამენტებზე მოგება შეიძლება 200-300%-ზე ავიდეს“

გვ.6

2 ივნისიდან
ჯეიმს მეთიუ ბარი
პიტერ პენი
ერიკ კინკეიდის ფერადი ილუსტრაციებით
ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

ხუთშაბათი, 2 ივნისი, 2016 №129 (7055) ფასი: 50 თეთრი

# „ხელისუფლებას რუსთავი 2 აწყობს“

## გელა ნიკოლაიშვილი: „საკონსტიტუციო სასამართლოზე აჟიოტაჟი ხელოვნურადაა ატეხილი“

გვ.2

## ნიკა გვარამია: „მოსამართლე ნათია გუჯაბიძემ სახელმწიფო ქონება გაფლანგა“

გვ.2

მთავარი პროკურატურა: „ეს არის სრული სიცრუე“

## დავით კოლუაშვილი: „იმართლოს თავი წინა რეჟიმმა, ჩვენ უნდა ვაკეთოთ ქართული საქმე“

გვ.3

## მეგი გოცირიძე: „ჩვენს ჩამოყვანილ მომღერალს მაყურებლისთვის უკანალი რომ მიეშვირა, ტაბურეტკების რევოლუციას მოგვიწყობდნენ“



გვ.4

## ბიზნესმენთა ფედერაცია ვანო ჩხარტიშვილს სასამართლოში უჩივის

გვ.7

გვ.4

## სუს-ის, შსს-ს და გარემოს და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლებმა საველე ვარჯიში გამართეს

ISSN 1987-9385

## საქართველოს რეკორდული რაოდენობის მოგზაური ეწვია

გვ.3

# „ხელისუფლებას რუსთავი 2 აწყობს“

ნონა ცაბაძე

## გელა ნიკოლაიშვილი: „საკონსტიტუციო სასამართლოზე აჟიოტაჟი ხელოვნურადაა ატეხილი“

როგორც მოსალოდნელი იყო, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა საკონსტიტუციო სასამართლოში შესატან ცვლილებებს ვეტო დაადო. „ახალი თაობის“ კითხვებს აღნიშნულ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით იურისტი, უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი პასუხობს.

***– ბატონო გელა, რატომ დაიწუნა პრეზიდენტმა აღნიშნული კანონპროექტი?***

– საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონში ნამდვილად იყო შესატანი ცვლილებები და დასაზუსტებელი ბევრი საკითხი. ამ ცვლილებებმა ბევრი რამ დააზუსტა. პოლიტიზირების შიშებს რაღაც ქვეტექსტები ჰქონდა.

***– რა ქვეტექსტებზე საუბრობთ?***

– სექტემბერში ოთხ მოსამართლეს უმთავრდება ვადა და ახლები უნდა დაინიშნოს, ეს საკითხიც დასარეგულირებელი იყო. ასევე, უნდა დაეწეროს თუ არა საქმე ათწლიანი ვადის გასვლის წინ მოსამართლეებს, ეს ყველაფერი იყო დასარეგულირებელი. ასევე პლენუმზე გასატანი საკითხებიც.

პრეზიდენტსაც და ვენეციის კომისიის ზოგიერთ წევრსაც ძირითადი შენიშვნები ჰქონდათ სამ მომენტზე. დანარჩენი, რაც ცვლილებები შევიდა, პრაქტიკულად ყველა მოწონებულ იქნა.

***– ძირითადად რა დაიწუნა ვენეციის კომისიამ?***

– ძირითადად დაიწუნა ის, რომ პარლამენტის მიერ მიღებულ კანონში არის პუნქტი, რომ ვადის გასვლამდე სამი თვით ადრე მოსამართლეს ახალი საქმე არ უნდა დაეწეროს.

***– რა მოტივით?***

– პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, რომ როდესაც გასდის ვადა მოსამართლეს პირველ სექტემბერს და მას აგვისტოში ან ივლისში ეწერება საქმე, ის ვიდრე ამ საქმეს არ დაამთავრებს, არ უწყდება უფლებამოსილება და შესაძლოა, ეს ათი თვეც გაგრძელდეს. საერთო სასამართლოებში ეს საკითხი უმტკივნეულოდ შეიცვალა – გაუვა თუ არა მოსამართლეს ვადა, მაშინვე ამთავრებს თავის მოღვაწეობას და საქმე სხვა მოსამართლეს გადაეწერება.

***– საკონსტიტუციოში რატომ შეიქმნა ამ კუთხით პრობლემები?***

– ვინაიდან ამ ოთხ მოსამართლეს ვადა გასდის, რომლებიც ნაციონალების მომხრე მოსამართლეებად ითვლებიან, ჩათვალეს, რომ მათ საქმეებს არ დააწერდნენ. მე საერთოდ ანომალიად მიმაჩნია, როდესაც ლაპარაკია იმაზე, რომ ეს მოსამართლე ამის მომხრეა თუ იმისი. მოსამართლე კანონის მომხრე უნდა იყოს!

***– და ეს რატომ დაიწუნა ვენეციის კომისიამ, არის აქ რაიმე უჩვეულო?***

– დაწუნება მოხდა იმიტომ, ამის მიხედვით ისე გამოდის, რომ მოსამართლეს არა 10 წლიანი ვადა ექნებოდა, არამედ 9 წელი და 9 თვე. ეს პრობლემაა.

***– ეს როგორ უნდა დარეგულირდეს?***

– უნდა შევიდეს შესწორება, რომ, ვთქვათ, პირველ სექტემბერს გაუვა ვადა მოსამართლეს, პირველ ოქტომბერს აუცილებლად უნდა დაინიშნოს ახალი მოსამართლე. კი ბატონო, ბოლო სამ თვეში დაეწეროს მას საქმე, მაგრამ როგორც კი ვადა გაუვა, ის უნდა შეიცვალოს ახალი მოსამართლით. ეს არის გამოსავალი.

ასევე კოლეგიაზე გადასაცემი საკითხი იყო სადავო. 150 კაციანი პარლამენტი რომ იღებს გადაწყვეტილებას, მერე ოთხკაციანი კოლეგიიდან მხოლოდ ორ კაცს შეეძლო 150 კაცის მიერ მიღებული კანონი გადაეწყვიტა და გაეუქმებინა ეს გადაწყვეტილება.

***– ამ კუთხით რა შეიცვალა?***

– ამ ცვლილების ავტორებმა გადაწყვიტეს, რომ 2 კაცს კი არ ჰქონოდა ამის უფლება, არამედ პლენუმს გადასცემოდა. პლენუმი კი უკვე 9 კაცისგან შედგება. თუმცა ესეც დაიწუნეს.

***– რა არგუმენტით?***

– ორივე მხარეს აქვს თავისი არგუმენტი. ეს ნიუანსური ცვლილებებია და მე ვფიქრობ, რომ ეს შესაძლოა გაზიარებულ იქნას პარლამენტის მიერ. ის აჟიოტაჟი და აურზაური, რაც ატეხილი იყო, ხელოვნურად იყო გაზვიადებული და ჰგავდა ქარიშხალს ჭიქაში. პრეზიდენტმა ისეთივე შენიშვნები მისცა, რაც დაახლოებით ვენეციის კომისიამ გამოგზავნა და ალბათ ამ ორსამ საკითხთან დაკავშირებით, პარლამენტი ამ ცვლილებებს გაიზიარებს და შემდეგ პრეზიდენტი მოაწერს ხელს.

***– ნაციონალები აცხადებენ, რომ დღეს სასამართლოებს „ოცნება“ მართავს. რამდენად უსამართლო გადაწყვეტილებები მიიღება? რუსთავი 2-ის სასამართლო პროცესზე რას ფიქრობთ?***

– ყველაზე კომიკური არის ის, რომ დღეს ის ადამიანები ლაპარაკობენ სასამართლოს დამოუკიდებლობის შელახვაზე, ვისი მმართველობის დროსაც სასამართლოს არათუ დამოუკიდებლობა არ არსებობდა, საერთოდ სასამართლო ჩასმული იყო ხელისუფლების ჯიბეში. დღეს, როდესაც ლაპარაკია იმაზე, რომ თურმე სასამართლოზე გავლენას ახდენენ, სასამართლოს იმორჩილებენ, ასევე ხელოვნურად ატეხილი აჟიოტაჟია.

***– ვის სჭირდება ეს ყოველივე?***

– მე არ ვიცი დეტალები რუსთავი 2-ის ირგვლივ, რა ხდება მათ მფლობელებს შორის, მაგრამ ფაქტი ერთია, რომ ნაციონალური მოძრაობა და რუსთავი 2 ცდილობენ, მხოლოდ პოლიტიკურ სიბრტყეში გადაიყვანონ ეს დავა.

თუ მათი სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღეს, მაშინ იტყვიან, აი, როგორ შევასმინეთ, ხალხი დაგვიდგა გვერდში და ასე შემდეგ. ხოლო თუ მათი საწინააღმდეგო გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, მაშინ იტყვიან, ნახეთ, ხელისუფლება როგორ გვჩაგრავს, როგორ უსამართლოა და ასე შემდეგ.

***– წინასწარ ქმნიან ფონს?***

– რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი წინასწარი ფონის შესაქმნელად კეთდება. იქ არანაირ სამართლებრივ დავაზე არ მიდის ლაპარაკი. მხოლოდ პოლიტიკურ ჭრილშია გადატანილი ეს ყველაფერი. რუსთავი 2 დღეს ხელისუფლებას ნამდვილად აწყობს, რომ არსებობდეს.

***– რაში უნდა აწყობდეს?***

– რუსთავი 2 არის სიმბოლო პარტიული ტელევიზიის, მიკერძოებული ტელევიზიის. ნებისმიერი ობიექტური ადამიანი, განურჩევლად იმისა, მომხრეა თუ არა ამ ხელისუფლების, აშკარად ხედავს, რომ ის არის იმდენად მიკერძოებული და იმდენად არაობიექტური, რომ არანაირ ნდობას არ იმსახურებს.

ხელისუფლებას, პირიქით, აწყობს რუსთავი 2-ის მსგავსი ტელევიზია. რუსთავი 2 კოლეგებსაც დიდ შეურაცხყოფას აყენებს, როდესაც აცხადებს, ერთადერთი რუსთავი 2-ია, რომელიც სიმართლეს ლაპარაკობსო. სულ 50 ტელეარხია საქართველოში და გამოდის, რომ ყველა დანარჩენი ცრუობს?! ხალხი ხომ კარგად ხედავს, რომ დღეს ხელისუფლებას ტელევიზია არ აქვს. ყველა ლანძღავს ან აკრიტიკებს. დღეს მიკერძოებული, არაობიექტური და არათავისუფალი თუ რომელიმე ტელევიზიაა, ეს არის სწორედ რუსთავი 2.

# ნიკა გვარამია: „მოსამართლე ნათია გუჯაბიძემ სახელმწიფო ქონება გაფლანგა“

## მთავარი პროკურატურა: „ეს არის სრული სიცრუე“

ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას განცხადებით, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ნათია გუჯაბიძე, რომელიც რუსთავი 2-ის საქმის ერთ-ერთი განმხილველია, თაღლიღობაშია შემჩნეული.

გუშინ, 1 ივნისს, გამართულ ბრიფინგზე გვარამიამ განაცხადა, რომ ნათია გუჯაბიძემ სახელმწიფო ქონება გაფლანგა.

– რამდენიმე საათის წინ ჩვენთვის მნიშვნელოვანი გარემოება გახდა ცნობილი. ერთ-ერთი მოსამართლე ნათია გუჯაბიძე, ჩვენი ინფორმაციით, იდევნება თაღლითობისთვის საქართველოს პროკურატურის მიერ. 2014 წელს მას გამოეყო სახელმწიფოს მხრიდან სახსრები იმ მოტივით, რომ არ ჰქონდა საცხოვრებელი სახლი თბილისში, თუმცა აღმოჩნდა, რომ მას სახლი ჰქონდა და ბინას ქირაობდა საკუთარი დედისგან. შესაბამისად, იგი ითვისებდა ამ თანხებს უკანონოდ, – განაცხადა გვარამიამ.

მისივე თქმით, ეს ფაქტი ცნობილი გახდა იუსტიციის საბჭოსთვის და დაიწყო მოკვლევა თავის დროზე, თუმცა საქმე პროკურატურაში არ გადაიგზავნა.

– მაშინდელმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და მაშინდელმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილმა, ჩვენი ინფორმაციით, რომელიც კონფიდენციალურ წყაროს ემყარება, მოითხოვა საქმის პროკურატურაში გადაცემა, თუმცა ახლად დანიშნულმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა მხარი ამას არ დაუჭირეს, რადგან ქალბატონი გუჯაბიძე ასოცირდებოდა ყოველთვის წულუკიანის გუნდთან და ძაღლმა ძაღლის ტყავი არ დახია, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

მისი თქმით, სადისციპლინო დევნის ნაწილშიც უარი ითქვა და სადისციპლინო კოლეგიას არ გაეგზავნა ეს საქმე, როგორც სამოსამართლეო ეთიკის დარღვევის ფაქტი.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# აფხაზეთში რეფერენდუმი 10 ივლისს ჩატარდება

## ხაჯიმბას პრეზიდენტობა მოსახლეობის ნებაზე ჰკიდია

შორენა მარსაგიშვილი

დიდი წივილ-კივილის მიუხედავად, აფხაზეთში პრეზიდენტის ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით რეფერენდუმი მაინც ჩატარდება. აფხაზთა ლიდერმა რაულ ხაჯიმბამ გუშინ, 1 ივნისს, მინისტრებთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან საგანგებო შეხვედრა გამართა, სადაც განაცხადა, რომ აფხაზეთში რეფერენდუმი 10 ივლისს გაიმართება.

რეფერენდუმის თემა აფხაზეთში რამდენიმე თვის წინ გახდა აქტუალური. აფხაზურმა ოპოზიციამ რესპუბლიკის ლიდერის რაულ ხაჯიმბას გადადგომა მოითხოვა. მისი გადადგომის მოთხოვნით აქციებიც კი გაიმართა, ხაჯიმბამ გადადგომაზე უარი განაცხადა. ოპოზიციამ აქციები უხუცესების თხოვნით შეწყვიტა, თუმცა ბრძოლა სხვა მეთოდებით გააგრძელა და საკითხის რეფერენდუმზე გატანა მოითხოვა.

რეფერენდუმის ჩასატარებლად ოპოზიციამ ხელმოწერები მოკლე ვადაში შეაგროვა და ცესკოს გადასცა. ცესკომ ხელმოწერები საგულდაგულოდ გადაამოწმა და რეფერენდუმის ჩატარება მიზანშეწონილად მიიჩნია.

ცესკომ რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით რაულ ხაჯიმბას რამდენიმე დღის წინ მიმართა. ამ უკანასკნელმა გუშინ, 1 ივნისს, რეფერენდუმის თარიღი ოფიციალურად გამოაცხადა. 10 ივლისს გაირკვევა, უნდა თუ არა ხალხს ახალი პრეზიდენტი.

მართალია რეფერენდუმის თარიღი უკვე დანიშნულია, მაგრამ ხაჯიმბა მაინც უკმაყოფილოა. როგორც თავად ამბობს, რეფერენდუმი დემოკრატიისთვის კარგია, მაგრამ სახელმწიფოებრიობისთვის მთლად სახარბიელო არ არის. რესპუბლიკის პირველ პირს განსაკუთრებით ის არ მოსწონს, რომ რეფერენდუმზე საკითხი ასე დგას – მხარს უჭერთ თუ არა ვადამდელი არჩევნების ჩატარებას.

ის მიიჩნევს, რომ ოპონენტები რეფერენდუმს პოლიტიკური ბრძოლის იარაღად იყენებენ, მაგრამ ქვეყნის კონსოლიდაციის ხათრით მზადაა, მსხვერპლზე წავიდეს.

– ჩვენ წინაშე ძალიან რთული ამოცანები დგას, აუცილებელია ერის კონსოლიდაცია. იმისთვის, რომ შენარჩუნდეს სტაბილურობა, მე, როგორც ქვეყნის უსაფრთხოების და სტაბილურობის გარანტი, ხელს ვაწერ გადაწყვეტილებას რეფერენდუმის ჩატარების შესახებ, – აღნიშნა ხაჯიმბამ საგანგებო მიმართვაში.

მას უჭირს იმის პროგნოზირება, თუ რა შედეგით დასრულდება რეფერენდუმი. ამბობს, რომ პატივს სცემს ხალხის გადაწყვეტილებას და მას ნებისმიერ შემთხვევაში გაგებით მოეკიდება.

დათმობაზე წასულმა ხაჯიმბამ რეფერენდუმის ინიციატორები ხალხის მოტყუებაში დაადანაშაულა. მისი თქმით, ხელმოწერების შეგროვების დროს მოსახლეობის ნაწილი მოატყუეს, თითქოს პრეზიდენტის მხარდამჭერ ხელმოწერებს აგროვებდნენ.

– ჩვენ თავისუფლად შეგვეძლო გაგვესაჩივრებინა ეს ხელმოწერები, შეგვეძლო გაგვესაჩივრებინა ცესკოს გადაწყვეტილებაც. ჩვენ შევძლებდით ამ პროცესის მოგებას, მაგრამ ამაზე შეგნებულად არ წავედით. კარგად ვიცი, ამ რეფერენდუმის ინიციატორებს იმედი ჰქონდათ, რომ ჩვენ მის ჩატარებას არ დავუშვებდით, მათ სურდათ, ამ უარით ქვეყანაში დესტაბილიზაცია გამოეწვიათ, – აღნიშნა რესპუბლიკის მეთაურმა.

ხაჯიმბამ ფინანსთა სამინისტროს რეფერენდუმის ჩასატარებლად თანხების გამოძებნა ურჩია. შსს-ს კი სთხოვა, იმ მოქალაქეებს მისცეს ახალი პასპორტები, რომელთა პირადობის აღმნიშვნელ დოკუმენტებს ვადა გაუვიდათ.

ხაჯიმბა დარწმუნებულია, რომ მოსახლეობა სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს. მისი განცხადებით, ასეთი კარგი და უპრეცედენტოდ გახსნილი ხელისუფლება აფხაზეთს ჯერ არ ჰყოლია.


ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru



რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დავით კოღუაშვილი: „იმართლოს თავი წინა რეჟიმმა, ჩვენ უნდა ვაკეთოთ ქართული საქმე“

## ინტერვიუ დავით კოღუაშვილთან

***– ბოლო პერიოდის განმავლობაში თქვენმა ინტერვიუმ საკმაოდ დიდი რეზონანსი გამოიწვია, ბევრმა სათავისოდაც კი გამოიყენა, ვგულისხმობ ნაციონალურ მოძრაობას, პრემიერმა განაცხადა, რომ თქვენ თავად გააკეთებდით ამასთან დაკავშირებით განცხადებას, როგორი იქნება თქვენი განმარტება?***

– გეთანხმებით, ჩემმა ინტერვიუმ არაერთგვაროვანი შეფასებები გამოიწვია, განსაკუთრებით კონტექსტიდან ამოგლეჯილმა იმ ფრაზებმა, რომელთა ტირაჟირებაც აქტიურად ხდებოდა.

თუმცა, თუ ადამიანი წაიკითხავდა მთლიან ტექსტს, მიხვდებოდა, რაც იგულისხმებოდა, შავით თეთრზე წერია ჩემი დამოკიდებულება ნაციონალური მოძრაობის, როგორც ყოფილი პოლიტიკური მმართველი ძალის, ყველა იმ ძალმომრეობაზე, რაც მან იმ წლების განმავლობაში ჩაიდინა. მე ეს ტექსტი საკმაოდ გაშლილი მქონდა, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ნაწილი ამ ტექსტისა არ იყო სრულფასოვნად გადმოცემული.

***– ანუ კონტექსტიდან იყო ამოგლეჯილი?***

– კი, მათ შორის, მაგრამ მთავარი ეს არ არის. ამავდროულად ითქვა ის ფრაზა, რაც ითქვა და გამოტანილ იქნა წინა გვერდზე. მე ერთი წუთით არ ვიხსნი პასუხისმგებლობას ჩემს ნათქვამ სიტყვებზე, უბრალოდ ვთვლი, რომ დამატებითი განმარტებებია საჭირო. მადლობა, რომ მაძლევთ ამის საშუალებას.

მე მესმის მათი, ვისი გულისწყრომაც გამოიწვია ჩემმა ეპითეტებმა, სწორედ ამიტომ ვთვლი ვალდებულად თავს მათ წინაშე, რომ დამატებითი განმარტებები გავაკეთო.

განსაკუთრებით მოულოდნელი იყო ეს მათთვის, ვინც მე ძალიან კარგად მიცნობს, იცის რა ჩემი პოლიტიკური წარსული და ჩემი პოზიცია, როდესაც ყველაზე მწვავე ფორმით გამოვხატავდი ჩემს დამოკიდებულებას ნაციონალური მოძრაობის მიმართ. ვგულისხმობ 2003 წლიდან მოყოლებულ პერიოდს, როცა მიხეილ სააკაშვილი ახალი ინტრონიზირებული იყო.

მე ამ სიტყვას შეგნებულად ვამბობ, იმიტომ, რომ მე მას იმპერატორი ვუწოდე, როდესაც თავის თავზე მოირგო კონსტიტუცია და პრაქტიკულად უზურპაცია მოახდინა მთელი სახელისუფლო ვექტორის. დიახ, სწორედ მაშინვე ვამხილე მე ის ხელისუფლების უზურპირებაში, კონსტიტუციის ჭრა-კერვაში და ზუსტად ეს იყო ერთ-ერთი მიზეზთაგანი, რის გამოც მე დავტოვე აქტიური პოლიტიკა.

ჩემს მწვავე პოზიციებზე და ძველ განცხადებებზე დიდ აქცენტებს აღარ გავაკეთებ, ჩვენს ხალხს ეს ძალიან კარგად ახსოვს. ახსოვს 2007 წელიც, როდესაც მე თავდაუზოგავად ვებრძოდი სააკაშვილის რეჟიმს.

რაც შეეხება ჩემს ფრაზებს მერაბიშვილსა და უგულავაზე, კითხვა იყო დასმული ასე – ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო იხილავს მათ საქმეებს და არის დიდი ალბათობა იმისა, რომ პოლიტდევნილის სტატუსი მიენიჭოს მას.

ამ კუთხით, ჩვენ ევროპულ სახელმწიფოს ვაშენებთ და ეს არის ჩვენი ამოცანა, რომ საქართველო გახდეს ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი. ვიყოთ ავანგარდში ყველა იმ ღირებულებათა ინსტიტუციონალური უზრუნველყოფის კუთხით, რასაც ჰქვია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების უპირობო ხელშეუხებლობა და დაცვა. მათ შორის სასამართლოს ინსტიტუტსაც ვგულისხმობ.

რაც უნდა უკანასკნელი ვიგინდარა და გარეწარი იყოს ადამიანი, ჰქონდეს ძალიან მძიმე დანაშაული ჩადენილი და მე სწორედაც რომ მიმაჩნია, უგულავას, მერაბიშვილს და მათ არაერთ თანაგუნდელს უმძიმესი დანაშაულები აქვთ ჩადენილი, ყველა დემოკრატიული სახელმწიფო ვალდებულია, დაემორჩილოს სასამართლოს გადაწყვეტილებას.

მთავარია, ჩვენ მივეჩვიოთ კანონიერ, სამართლებრივ ქვეყანაში ცხოვრებას. რას ნიშნავს სამართლებრივ ქვეყანაში ცხოვრება? კანონის უზენაესობას. ეს არის ჩვენი განმასხვავებელი ხელწერა წინა ხელისუფლების რეჟიმისგან, სადაც იყო დომინანტი ძალმომრეობის, ხელის გადაგრეხვის, ყველა პოლიტიკური ინსტრუმენტის გამოყენების, ზეწოლის, რეპრესიის, დევნის, თვალთვალის, მოსმენის, შევიწროვების და შეზღუდვის და შედეგად მივიღეთ, პრაქტიკულად საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი საპყრობილეებში.

ისინი იქ რას განიცდიდნენ და რა წნეხის ქვეშ იყვნენ, ეს კიდევ ცალკე თემაა, არ მინდა ჭრილობები გავუღვივო თავიდან მოსახლეობას. ყველამ ეს ყველაფერი კარგად ვიცით, ყველამ ეს ყველაფერი კარგად ვნახეთ და ერთად, 2012 წელს, განაჩენი გამოვუტანეთ იმ ხელისუფლებას. სწორედ იმ ხელისუფლებას წარმოადგენდნენ უგულავაც და მერაბიშვილიც სააკაშვილის ხელმძღვანელობით. ამიტომ, მე მათ პასუხისმგებლობას ვერანაირად ვერ მოვუხსნი და ვერ გავმიჯნავ სააკაშვილისგან, რომელიც ახლა სისხლის სამართლის დამნაშავეა და საქართველოდან არის გაქცეული.

თუმცა, თუ ჟურნალისტი სვამს კითხვას, რომ ევროპის სასამართლოს შესაძლოა კითხვები გაუჩნდეს დამდგარ განაჩენთან დაკავშირებით, რა რეაგირება უნდა მოახდინოს დემოკრატიულმა სახელმწიფომ?

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მიმაჩნია, რომ ქართულ საზოგადოებას სრულიად მკაფიო პოზიცია აქვს ნაციონალური მოძრაობის ლიდერების დამნაშავეობასთან დაკავშირებით, თუმცა ნებისმიერი პატიმარი, რომელთან დაკავშირებითაც შესაძლოა კითხვები ჰქონდეს ევროპულ სასამართლოს, ციხეში უფრო ზიანის მომტანია ქვეყნისთვის. ამაზე იყო ზუსტად ჩემი პასუხი, რასაც კარგად მიხვდებიან ადამიანის უფლებათა

დამცველები და იურისტები.

მაგრამ აქვე ძალიან კარგად მესმის იმ ადამიანების, რომელთაც გაეხსნათ მოუშუშებელი ჭრილობები, რისთვისაც მე მინდა მართლა გულით მოვუხადო ბოდიში, თუ ვინმეს გული ეტკინა და არასწორად იქნა აღქმული ჩემი მოსაზრება. დიახ, მეც იგივეს განვიცდი და ვთვლი, რომ დამნაშავე ციხეში უნდა იჯდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში, როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩემი პასუხი გამომდინარეობდა დასმული კითხვიდან, რომელიც ეხებოდა ევროპის ადამიანთა უფლებების სასამართლოს, რომელთან მიმართებაშიც ჩვენ კონვენციური ვალდებულებები გვაქვს აღებული.

***– რაც შეეხება თქვენს ნათქვამ ფრაზას ყოფილი ხელისუფლების წევრების ნიჭიერებასთან დაკავშირებით...***

– მე ქებით კონტექსტში არ მითქვამს ეს. „უნიჭობაზე საშიში ნიჭიერებაა, თუ მაღალი ზნეობა და ღვთისმოშიშობა არ ახლავს თან...“ – ეს ჭაბუა ამირეჯიბის სიტყვებია.

აი სწორედ ეს იყო მათი და თითოეული ჩვენგანის უბედურება, რომ თავიანთი ნიჭი, რესურსი, ენერგია და თუნდაც გარკვეული განათლება გამოიყენეს ბოროტად, ქვეყნის საზიანოდ და ამიტომაც უთხრა მათ საზოგადოებამ უარი. ამიტომაც გამოვკვეთე გირგვლიანის საქმე, მათი „მოღვაწეობის“ თვალსაჩინო მაგალითი, რომელმაც პრაქტიკულად ფარდა ახადა მათ მორალურ სახეს, მათ ზნეობრივ და სამართლებრივ დამოკიდებულებას ადამიანის, საკუთარი მოქალაქეების და კანონის მიმართ.

ეს მემკვიდრეობა დახვდა „ქართულ ოცნებას“, რომლის მთავარი ამოცანა იყო საზოგადოების ძალმომრეობისაგან დაცვა და ამაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის ბიძინა ივანიშვილს, რომლის ავტორიტეტმა, თავგანწირვამ და მზაობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა იმაში, რომ დღეს ადამიანის უფლებები დაცულია, თავისუფალია სასამართლო, ბიზნესი, მედია.

***– თქვენმა ინტერვიუმ კითხვები გააჩინა თავად „ქართული ოცნების“ რიგ წევრებშიც.***

– დიახ, თუმცა ეს საკითხი განხილული იყო გუნდის შიგნით და კითხვებზე პასუხები გაიცა.

ჩვენი საზრუნავი პირველ რიგში არის ქართული საზოგადოება და ჩვენ პირველ რიგში მათთან ვართ ანგარიშვალდებული. იმისდა მიუხედავად, ვინ ახლა მოვედით, ვინ დაგვხვდა, ჩვენ ახლა ერთ გუნდში ვართ და ერთად უნდა ვემსახუროთ ქვეყანას.

მე ერთი წუთით არ მეპარება ეჭვი „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში. ეს არის საზოგადოებრივი დაკვეთა და ჩვენ ამ დაკვეთას შევასრულებთ. ჩვენ ვიზრუნებთ თითოეული ოჯახის, მოქალაქის კეთილდღეობაზე და ამას საქმით დავამტკიცებთ. ჩვენი განმასხვავებელი წინა ხელისუფლებისგან არის სიტყვა და საქმე ერთად. სწორედ ესაა მთავარი, რომ იტყვი, ის უნდა გაკეთდეს. რა თქმა უნდა, იმ მძიმე მემკვიდრეობის ფონზე, რაც დახვდა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას, იყო და ჯერ კიდევ დარჩა პრობლემები. ძალიან ბევრი რამ გაკეთდა, თავი სამართლებელი ნამდვილად არ გვაქვს, იმართლოს თავი წინა ხელისუფლებამ და წინა რეჟიმმა. ჩვენ უნდა ვაკეთოთ ქართული საქმე.

***– თქვენ გქონდათ პაუზა პოლიტიკაში, რას აკეთებდა ამ ხნის განმავლობაში დავით კოღუაშვილი და რა პოზიციაზე ხედავს ახალ გუნდში თავის თავს?***

– ჩემი პროფესიით ვიყავი დაკავებული, ძალიან სერიოზულ რეფორმების ჯგუფს ვხელმძღვანელობდი. ეს იყო ჯერ ევროკავშირის და შემდგომ ამერიკის შეერთებული შტატების ხაზინის დეპარტამენტის ეგიდით. ორივე შემთხვევაში საკითხი ეხებოდა საგადასახადო საბაჟო სისტემების რეფორმირებას, რა ჭრილშიც ბევრი სიკეთე გაკეთდა, თვისობრივი გარღვევა მოხდა ინსტიტუციონალური ჩამოყალიბების კუთხით.

დღეს ვხელმძღვანელობ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) სამოქმედო გეგმის შესრულების უზრუნველყოფის მიმართულებას.

***– ანუ უფრო ეკონომიკურ გუნდში?***

– ჩემთვის პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა უცხო არ არის და გუნდი სადაც საჭიროდ ჩათვლის ჩემი რესურსის და ენერგიის გამოყენებას, მზად ვარ, ვემსახურო ჩემს ქვეყანას. ჩემთვის ეს არის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა და გამოწვევა. მჯერა, რომ ჩვენი გუნდი შეძლებს ყველა გამოწვევასთან გამკლავებას და ჩვენს ხალხთან ერთად მივაღწევთ ქვეყნის სწრაფ განვითარებას.

# საქართველოს რეკორდული რაოდენობის მოგზაური ეწვია

2016 წლის მაისის თვის მონაცემებით, საქართველოს 522.359 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 14,9%-ია.

მაისის თვის მაჩვენებლებით იმ უცხოელი მოგზაურების ანუ ტურისტების რიცხვმა, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში 204,714 შეადგინა. ზრდა +24.3%-ია.

2016 წლის მაისი ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან (+6.8%), აზერბაიჯანიდან (+18.6%), სომხეთიდან (+3.9%), რუსეთიდან (+18.7%) და უკრაინიდან (+30.9%) განხორციელდა.

პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, მაისში გამოირჩნენ ლატვია +64%, პოლონეთი +30%, გერმანია +29% და ლიტვა +21%. განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა შემდეგი ქვეყნებიდან ინდოეთი +319%, ირანი +300%, ისრაელი +122%, ომანი +149% და საუდის არაბეთი +85%.

საერთაშორისო მოგზაურების ზრდა დაფიქსირდა 5 თვის მონაცემებითაც, საერთაშორისო მოგზაურების ჯამურმა რაოდენობამ 2.119.275 შეადგინა, ზრდა კი +15.3%-ია. ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 782.814 შეადგინა, რაც +18.8%-ით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემზე.

2016 წლის იანვარ-მაისის პერიოდში ყველაზე მეტი ვიზიტი აზერბაიჯანიდან (+22%), თურქეთიდან (+6.6%), სომხეთიდან (+2.8%), რუსეთიდან (+19.6%) და უკრაინიდან (+23.8%) განხორციელდა.

პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-მაისში გამოირჩნენ ლატვია +35%, იტალია +22%, პოლონეთი +15% და საფრანგეთი +10%. განსაკუთრებული ზრდა ფიქსირდება შემდეგი ქვეყნებიდან ირანი (+361%), ინდოეთი +(335%), ომანი (+329%), ისრაელი (+113%), არაბთა გაერთიანებული საემიროები (+69%), ბელორუსი (+46%), უზბეკეთი (+41%), ყაზახეთი (+25%) და მოლდოვა (+22%).

2015 წლის ჯამური მონაცემებით შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან საქართველოში შეადგენდა 1.94 მილიარდ დოლარს (ზრდა +8.3), რაც 149 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2015 წლის ჯამური მონაცემებით შეადგენს 6.7%-ს. ზრდა წინა წელთან შედარებით +16.2%-ია.

2015 წლის მაისის თვეში დაფიქსირდა საერთაშორისო შემოსვლების რეკორდული მაჩვენებელი. რეკორდულია ასევე 2016 წლის 5 თვის ჯამური მონაცემიც.

2016 წელს ხუთი თვის საერთაშორისო შემოსვლების ჯამურმა მაჩვენებელმა პირველად გადააჭარბა ორ მილიონ ვიზიტს.

◆ ◆ ◆

თბილისისა და ბათუმის „რედისონმა“ ზაფხულის ტურისტული სეზონი წარმატებულად დაიწყო. სასტუმროს პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი სალომე წოწორია იმედოვნებს, რომ სეზონი, ასევე წარმატებულად გაგრძელდება.

მისი ინფორმაციით, ამ ეტაპზე თბილისშიც და ბათუმშიც სასტუმრო თითქმის სავსეა, ბათუმი განსაკუთრებით. თბილისში ოთახების 90% დაჯავშნულია, ხვალიდან კი 100% იქნება დაჯავშნული.

– მოლოდინებიც დიდია, რადგან არის ძალიან აქტიური სეზონი. ვიმედოვნებთ, რომ ზაფხულის სეზონი გაგრძელდება წარმატებულად, – განაცხადა წოწორიამ.

მისივე ინფორმაციით, სასტუმროში ამ დროისათვის ბევრი რუსი და არა მარტო რუსი ტურისტია. ბათუმის „რედისონში“ ქართველი ტურისტებიც ისვენებენ.

– ბათუმში, გამომდინარე საკონცერტო სეზონიდან, საქართველოდანაც არის ჯავშნები. მაისის თვიდან ბათუმში ბევრი რუსი ტურისტი შეინიშნებოდა. ჩვენთვის ზაფხული ბათუმის კუთხით ყოველთვის დატვირთულია და ბევრი ტურისტი გვყავს, – განაცხადა სალომე წოწორიამ.

სასტუმრო „გრაკო მეტეხი“, რომელიც თბილისში, მეტეხის აღმართზე მდებარეობს, ტურისტულ სეზონზე დამსვენებელთა დიდ რაოდენობას ელოდება. სასტუმრო ამ დროისთვისაც უკვე, თითქმის სავსეა.

სასტუმროს დირექტორი ნათია ელგენდარაშვილი აცხადებს, რომ ზაფხულის სეზონი ძალიან კარგად დაიწყო, თუმცა აღნიშნავს, რომ სასტუმროში ზამთარშიც ბევრი დამსვენებელი იყო.

– დატვირთვა საკმაოდ მაღალია, ადგილები არ გვყოფნის და სხვა სასტუმროსთან ვთანამშრომლობთ, რომ გადავანაწილოთ ჯგუფები. სიახლეც გვაქვს დამსვენებლებისათვის, კერძოდ ვხსნით ბარს-ტერასას მეოთხე სართულზე, სადაც დამსვენებლებს შევთავაზებთ უცხო გარემოს, ძალიან ლამაზი ხედით. გვაქვს ღვინის, ქართული ყველის და ნუგბარის დეგუსტაციის საღამოები.

თითქმის ყველა ჯგუფს ასე ვხვდებით – ვხვდებით ჭაჭით, ღვინით, დეგუსტაციის საღამოებს ვაწყობთ. დღეს მივიღეთ ივლისის თვის ჯავშანი, – განაცხადა ნათია ელგენდარაშვილმა.

მისივე თქმით, არის პერიოდები, როცა სასტუმროში სომეხი და აზერბაიჯანელი დამსვენებლები სჭარბობენ, მაგრამ ამ მომენტისათვის ბევრი რუსი დამსვენებელია სასტუმროში. ასევე, არიან ტურისტები ბრიტანეთიდან, უკრაინიდან და გერმანიიდან.

– ველოდებით საკმაოდ კარგ აქტივობას მთელი ზაფხულის განმავლობაში, რადგან მთელი ზაფხულის განმავლობაში არის დაჯავშნული ოთახები, – აღნიშნა ნათია ელგენდარაშვილმა.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ჟალბაჭონი ფიქრია

# მეგი გოცირიძე: „ჩვენს ჩამოყვანილ მომღერალს მაყურებლისთვის უკანალი რომ მიეშვირა, ტაბურეტკების რევოლუციას მოგვიწყობდნენ“

შორენა მარსაგიშვილი

**რაზე უნდა გადაიღოს ფილმი გოგა ხაინდრავამ, ვინ დაასაქმა ნოდარ ხადურმა, რას ვერ პატიობენ ნაციონალები სააკაშვილს, რა ამბავი გაიგო ცხინვალიდან ირაკლი ოქრუაშვილმა? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი დეპუტატი მეგი გოცირიძე ესაუბრება.**

„ირაკლი ოქრუაშვილს გოგა ხაინდრავაზე სკანდალური ინფორმაცია მიაწოდეს“

**მეგი გოცირიძე:**

– ქოცების შემხედვარეს თუ კიდევ რამე გამაკვირვებდა, არ მეგონა, მაგრამ იქ, სადაც ივანიშვილი და ხადურია, გაკვირვების საბაბს რა დალევს. ეს უსირცხვილო ფინანსთა მინისტრი გამოვიდა და განაცხადა, საქართველოში უმუშევრობის დონე რეკორდულად დაბალიაო. ამას ამბობს იმ ქვეყნის ფინანსთა მინისტრი, სადაც ყოველ წელს არასრულფასოვანი კვების გამო რამდენიმე ასეული ბავშვი იღუპება. უმუშევრობის შემცირებაზე იმ ქვეყნის ხელისუფლება საუბრობს, სადაც ადამიანები ნაგვის ბუნკერებში იქექებიან და იქ ეძებენ პურის ლუკმებს.

ასე რომ ტრაბახობს და ბაქიბუქობს, გამოვიდეს და გვითხრას, სად შეიქმნა სამუშაო ადგილები. ამათი მოსვლის შემდეგ ქვეყანა გაჩერდა. ჩვენს დროს ერთგვარი დრაივი იყო, სადაც გაიხედავდი, ყველგან მშენებლობას დაინახავდი. შენდებოდა გზები, სახლები სასტუმროები.

***– სასტუმროები ახლაც ხომ შენდება?***

– ახლა სასტუმროს ივანიშვილი აშენებს ბოტანიკურ ბაღში. სხვა ყველაფერი გაჩერებულია.

***– გზების შეკეთებაც ხომ მიდის?***

– ახლა ხადურივით ნუ აპირებთ ჩემს გადარევას, რას ეძახით გზის შეკეთებას – 2 მუშა რომ დგას და წვიმაში აგებს ასფალტს? გზების კეთება იმას ჰქვია, რაც ჩვენს დროს ხდებოდა. ამას ჩვენი ოპოზიციაც კი ვერ უარყოფდა. სხვა სათქმელი რომ არაფერი ჰქონდათ, იმას ამბობდნენ – ასფალტი ვჭამოთო? ახლა ასფალტიც აღარ აქვს ხალხს საჭმელად. იმ ასფალტის დაგებაზე უამრავი ადამიანი იყო დასაქმებული. ახლა იცით, რა ხდება? ხადური თონეში შემწვარ ციკანს ჭამს და ჩვენ, უბრალო მოკვდავებს, 41 ნერწყვი ჩამოგვდის.

რეკორდები რადგან ახსენეს, ქოცებმა მართლაც მოხსნეს რეკორდი, ოღონდ საკუთარი ნათესავების დასაქმებაში. ამ მხრივ მართლაც გამოიდეს თავი და დამატებითი სამუშაო ადგილებიც კი შექმნეს. „ქართული ოცნების“ აქტივისტებით არის სავსე საჯარო უწყებები.

***– აქტივისტების დასაქმება არც ნაცმოძრაობისთვის იყო უცხო.***

– როგორ შეიძლება ჩვენი და ამათი შედარება ერთმანეთთან. ჩვენ მართალია ვასაქმებდით ჩვენს აქტივისტებს, მაგრამ ის ხალხი კონკურსებს გადიოდა. ამათ კონკურსები გააუქმეს და ხელშეკრულებებით აჰყავთ ხალხი სამსახურში.

ხელისუფლებაში როგორც კი მოვიდნენ, ეგრევე თავისი ხალხით გადაავსეს სახელმწიფო უწყებები. ადგილებზე თითო-ოროლა ძველი თანამშრომელი დატოვეს. ისინიც იმიტომ, რომ მათთვის ეჩვენებინათ, როგორ ჩაერთოთ კომპიუტერი.

***– კომპიუტერის ჩართვა არ იცოდნენ?***

– არც ჩართვა იცოდნენ და არც გამორთვა.

***– ძალიან არარეალურია თქვენი ეს განცხადება. „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში 2012 წლის დამლევს მოვიდა. წარმოუდგენელია, ამ დროს ხალხს კომპიუტერის ხმარება რა სცოდნოდა. ფეისბუქს რომ თავი დავანებოთ, ოდნოკლასნიკების მომხმარებლები ხომ მაინც იქნებოდნენ?***

– ტყუილების თქმას მიჩვეული არა ვარ და დამიჯერეთ, ამ ხალხმა დღემდე არ იცის კომპიუტერის ჩართვა. კომპიუტერის ჩართვაში ღილაკზე თითის მიჭერას არ ვგულისხმობ. ხელისუფლებაში რომ მოვედით, საქმის წარმოება ელექტრონულ სისტემაზე გადავიყვანეთ. ეს ხალხი საქმეს აწარმოებს ელექტრონულად კი არა, ფეისბუქზე გაზიარება და დალაიქება ვერ გაურჩევიათ ერომანეთისგან.

აი, ასეთი უცოდინარი აქტივისტები დაასაქმეს და უნამუსოდ გვეუბნებიან, უმუშევრობის დონე რეკორდულად შემცირდაო. ხადურს ტყუილების თქმაში მხარი დიმიტრი ქუმსიშვილმაც აუბა და ამტკიცებს, სიღარიბეში მცხოვრებთა რიცხვი 500.000-მდე შემცირდაო. ეს იმ დროს, როცა სოციალურად დაუცველთა ბაზაში ლამის მილიონამდე ადამიანია შეყვანილი.

სტატისტიკის თუ არ სჯერათ, გაიარონ უფასო სასადილოებში და ნახონ, რა ხდება. ხალხი წყალ-წყალა სუპის მისაღებად რიგში დგას. იმ ხალხზეა საუბარი, რომელთა გამოსაკვებადაც, საკრებულოს დეპუტატის თქმით, 1.18 ლარია საკმარისი. ამათ უნდა აჭამო დღეში 1.18 ლარის პროდუქტი და ვნახავ, როგორ იჭიკჭიკებენ.

აქტივისტების დასაქმებაზე ვსაუბრობდით და რამდენადაც მახსოვს, გიგი უგულავა ამ ბრალდებით დააკავეს. მაინტერესებს, ახლა აღარ ითვლება ეს დანაშაულად? ან ის მითხრას ვინმემ, რატომ არ დაუბრუნეს ხალხს წართმეული ქონება. ამათი მიზანი ხომ სამართლიანობის აღდგენა იყო. ყველა იმ ადამიანს, რომელიც ქონების დაბრუნებას ითხოვდა, ერთნაირი პასუხი მიუვიდა – ხანდაზმულობის გამო მათი საქმე ვერ გადაიხედებოდა.

***– თქვენ მართლა დარდობთ იმაზე, რომ თქვენი მმართველობის დროს წართმეული ქონება ხალხს არ დაუბრუნეს?***

– მე ის მაწუხებს, რომ ხალხი თავიდანვე მოატყუეს. ქოცებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ამ ქონების დაბრუნება ვერ მოხდებოდა.

***– წინასწარ საიდან იცოდნენ, რომ ამ ქონებას ვერ დააბრუნებდნენ?***

– იმიტომ, რომ მათთვისაც ნათელი იყო, რა ვითარებაში მოხდა ამ ქონების ჩამორთმევა. ყველამ კარგად ვიცით, თუ როგორ იშოვა ქონებაჩამორთმეულთა უმეტესობამ ქონება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ ადამიანებმა კუპონებზე შეიძინეს ყველაფერი. ეს იყო სახელმწიფოს დაყაჩაღება. ჩვენ ამ ადამიანებს ჩამოვართვით ქონება და არა იმათ, ვინც პატიოსანი გზით იშოვა ფული.

***– ადამიანისთვის ქონების ჩამორთმევა შეიძლება სამართლიანი იყოს?***

– ამ შემთხვევაში ისაა მთავარი, რა გზით გაქვს ეს ქონება ნაშოვნი. და რაც მთავარია, ჩვენ ეს ქონება არ მიგვითვისებია.

***– ქონებაწართმეულები ამბობენ, რომ მათი ქონებები თქვენ გადაიფორმეთ.***

– ეს ქონება სახელმწიფოს ეკუთვნოდა და სახელმწიფოსვე დაუბრუნდა. პიროვნებებს, რომლებიც ამ ქონებას განკარგავდნენ, მათი დაბრუნების შანსიც მიეცათ. გაიმართა აუქციონები, სადაც კუპონებზე ნაყიდი ქონება გამოიტანეს და რეალურ ფასად გაყიდეს.

***– საკუთარი ქონების ყიდვა შესთავაზეთ?***

– რას ჰქვია საკუთარი ქონების? ეს იყო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება. ამ ადამიანებმა ბევრი მოგება ნახეს წლების მანძილზე ამ ქონებით და შეეძლოთ აუქციონზე მისი ხელახლა შეძენა. ბევრი ასეც მოიქცა. უკანონოდ თუ გვქონდა ვინმესთვის რამე წართმეული, „ქართულმა ოცნებამ“ რატომ არ გამოასწორა ეს ხარვეზები? ვერაფერი უკანონობა ვერ იპოვეს და ამ ხალხს მისწერეს, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო ვერაფერსაც ვერ დაგიბრუნებთო.

სამართლიანობის აღდგენა ისეთივე ბლეფი იყო, როგორც მათ მიერ დაპირებული კეთილდღეობა. როგორ შეიძლება იმ ხელისუფლებამ ქვეყანას სიკეთე მოუტანოს, რომელიც ოპოზიციის ოპოზიციაა. ასეთი უსახური ხელისუფლება საქართველოს შევარდნაძის დროსაც კი არ ჰყოლია.

***– კუპონებზე მიითვისეს ქონებაო, თქვით. როცა ეს ხდებოდა, ვიცეპრემიერი იყო თქვენი მოგვარე რომან გოცირიძე, ის განაგებდა ეკონომიკურ სფეროს. როგორც ამბობენ, სწორედ მის სახელს უკავშირდება ეს ამბები.***

– რა შუაშია აქ რომან გოცირიძე ან ვინ ეკითხებოდა მას ამ ქონების განკარგვას. მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირში ასე ხდებოდა და ყველგან რომან გოცირიძე იყო? სახელმწიფო ქონებას მაშინ ყველა იტაცებდა, ვისაც 2 კაპიკი და ავტომატი ჰქონდა.

***– გოგა ხაინდრავამ თქვა, ჩემს ფილმში ნაციონალების გარყვნილებაზეც იქნება საუბარი, ასეთი გარყვნილება არავის არსად უნახავს და გთხოვთ, მოზარდები ეკრანებს მოაშოროთო. ამისთანას რას აკეთებდით?***

– გოგა ხაინდრავაზე მარტო იმის გახსენებაა საკმარისი, რაც მაგას 1992 წელს თბილისსა და სამეგრელოში აქვს გაკეთებული.

***– მაშინ რატომლა დანიშნეთ სახელმწიფო მინისტრად?***

– ეგ მეც არ ვიცი და ერთადერთი, რასაც არასდროს ვაპატიებ მიშას, ხაინდრავას მინისტრად დანიშვნა იქნება. ის ამ თანამდებობაზე მიშას რეკომენდაციით არ მოხვედრილა.

ახლა რაც შეეხება კინოს. ქოცები არჩევნების წინ ბინძური კადრების ჩვენებას მიეჩვივნენ. 2012 წელს ერთხელ უკვე დაიჯერა ამომრჩეველმა მათი სიბინძურე, მეორედ ეს აღარ განმეორდება. გინდა წერილები დაწერონ და გინდა ფილმები გადაიღონ. ძალიან მაინტერესებს, იქნება თუ არა ამ ფილმში შეტანილი ხაინდრავას მინისტრობის პერიოდი. ყველაზე მეტად მაინტერესებს, ცხინვალში, ბორის ჩოჩიევის კაბინეტში მომხდარი ამბავი თუ მოხვდა ამ ფილმში. რამდენადაც ვიცი, იქ მყოფი ცხინვალის ყოფილი ჯანდაცვის მინისტრი დღემდე შოკშია მომხდარის გამო.

ახლა არ დავწვრილმანდები იმაზე საუბრით, ვინ ვისთან ისადილა მაშინ და სად რისთვის წავიდა, ეს ამბავი ქართულ პრესაში არაერთხელ დაიწერა. სიახლე მხოლოდ ის არის, რომ ამ ამბის გამო დაუპირისპირდა ხაინდრავა ნაციონალურ მოძრაობას. ირაკლი ოქრუაშვილი გორიდან არის წარმოშობით და ცხინვალთან აქვს კავშირები. მას ამ ამბის შესახებ ცხინვალიდან აცნობეს, ის სააკაშვილთან აპირებდა მისვლას და სიმართლის თქმას. ეს ამბავი გაიგო გოგა ხაინდრავამ და სანამ გააგდებდნენ, თავად გადადგა ნაბიჯი. იმ პერიოდში სანდრო გირგვლიანის სასამართლო პროცესი მიდიოდა და საპროტესტო აქციები იმართებოდა. ხაინდრავა იქ გაიქცა და ამით გადაფარა თავისი წასვლის ნამდვილი ამბავი.

ცოტა უხერხულია, როცა ის და სხვა მეოცნებეები სხვის გარყვნილებაზე საუბრობენ. ამათ პრემიებსა და დანამატებზე რამდენი ფული იხარჯება, სათვალავი აღარ არის. საზღვარგარეთ მივლინებებიც მილიონები უჯდება ბიუჯეტს. ციკნებით და ბიუჯეტის ხარჯზე ნაყიდი კოკა-კოლებით რომ გული იჯერეს, ახლა მსოფლიო ვარსკვლავების კონცერტებით გადაწყვიტეს გართობა.

***– ეს ვარსკვლავები თქვენც ხომ ჩამოგყავდათ?***

– ჩვენ თუ ჩამოგვყავდა, უფასო კონცერტებს ვმართავდით. ამათ კიდევ ბილეთები გაყიდეს. თანაც როდის ყოფილა, რომ ჩვენ მიერ ჩამოყვანილ ვარსკვლავს კონცერტზე ვინმესთვის უკანალი საგანგებოდ მიეშვირა. ამათ ჩამოყვანილმა რობი უილიამსმა ეს გააკეთა და ეს ვითომ არაფერი.

მაინტერესებს, სად იყვნენ ქართველი ვაჟკაცები და ოჯახის სიწმინდის დამცველები. დავიჯერო, ტაბურეტკისკენ არავის გაუწია გულმა? ჩვენს დროს რომელიმე უცხოელ მომღერალს კონცერტზე რომ ჩაეხადა, ტაბურეტკების რევოლუციას მოგვიწყობდნენ.

# სუს-ის, შსს-ს და გარემოს და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლებმა საველე ვარჯიში გამართეს

## რადიოაქტიური ნივთიერების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის საჩვენებელ ვარჯიშს უცხოელი მეცნიერები, საერთაშორისო ორგანიზაციების, აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტისა და აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლები დაესწრნენ

„ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) მეცნიერებისა და შედეგების მართვის მსოფლიო კონგრესის“ ფარგლებში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და გარემოსა ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლებმა რადიოაქტიური ნივთიერების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის საჩვენებელი ვარჯიში გამართეს, რომელსაც საქართველოში ვიზიტად მყოფი უცხოელი მეცნიერები, საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე, აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტისა და აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლები დაესწრნენ.

სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ საქართველოს შესაბამისი უწყებების კოორდინირებულ მუშაობას საშიში მასალების უკანონო ბრუნვის აღკვეთის დროს.

ვარჯიშის დასრულების შემდეგ აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის საფრთხეების შემცირების სააგენტოს ოპერაციების დეპარტამენტის J3/7 დირექტორმა გარი ბლორმა განაცხადა:

– ძალიან შთამბეჭდავი და სწრაფი ვარჯიში იყო, რაც, ჩემი აზრით, ასეთი ოპერაციების დროს ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მოხდეს სწრაფი რეაგირება და დააკავონ დამნაშავეები, რათა საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლებმა შეძლონ თავიანთი მოვალეობის შესრულება. საქართველო ლიდერია ქბრბ რისკების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში, ამ კუთხით ყველა ქვეყანა გათვითცნობიერებული უნდა იყოს. აშშ, რომელიც საქართველოს ამაყი პარტნიორია, ეხმარება საქართველოს ამ მიმართულებით. ჩვენ ახლაც შთაბეჭდილების ქვეშ ვართ და ველოდებით, რომ ჩვენი პარტნიორობა გაგრძელდება.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა ირაკლი ბერაიამ განაცხადა:

– საქართველოში მიმდინარეობს ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული მეცნიერებებისა და შედეგების მართვის მსოფლიო კონგრესი, რომელსაც მასპინძლობს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. კონგრესის ფარგლებში დღეს გაიმართა საჩვენებელი ვარჯიში, რომელიც ეხებოდა რადიოაქტიური ნივთიერების უკანონო ბრუნვის აღკვეთას. ამ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შესაბამისი დანაყოფის წარმომადგენლები და ღონისძიებაზე ჩვენს სტუმრებს, ჩვენს უცხოელ პარტნიორებს, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებს ჰქონდათ შესაძლებლობა ეხილათ, თუ როგორ ებრძვის კოორდინირებულად საქართველოს შესაბამისი უწყებები საშიში მასალების უკანონო ბრუნვას.

„ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) მეცნიერებისა და შედეგების მართვის მსოფლიო კონგრესს“ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მასპინძლობს, რომელიც 30 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით, თბილისში, სასტუმრო „რედისონში“ ტარდება.

კონგრესში მსოფლიოს 30 ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციის მაღალი რანგის ოფიციალური პირები, ქბრბ სფეროს ექსპერტები და მეცნიერები მონაწილეობენ. მასზე განიხილება ისეთი საკითხები, როგორებიცაა ბირთვული და რადიოლოგიური უსაფრთხოება, მასობრივი განადგურების იარაღისა და მასალების გაუვრცელებლობა, ბიოდაცულობა და ბიოუსაფრთხოება, ქიმიური უსაფრთხოების ასპექტები და ა.შ.

# თამარ ჩხეიძე: „ბიძინა ივანიშვილი ხალხთან პირისპირ შეხვედრას ვერ გაბედავს“

## „შეიძლება საშიშროება ბურჭულაძის პარტიიდანაც წამოვიდეს“

მარიამ მჭედლიშვილი

ბიძინა ივანიშვილის წინასაარჩევნო გააქტიურება მოსალოდნელი იყო, თუმცა, მაინც მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარე თამარ ჩხეიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან არც წასულა, ხალხთან პირისპირ შეხვედრებს კი იგი არჩევნების წინაც ვერ გაბედავს.

**თამარ ჩხეიძე:**

– ფაქტობრივად, ბიძინა ივანიშვილი არ წასულა პოლიტიკიდან. იგი პროცესებში არაფორმალურად მონაწილეობდა ისე, რომ თან პასუხისმგებლობა ჰქონდა მოხსნილი. არა მგონია, რომ ის რომელიმე თანამდებობაზე დაბრუნდეს. ახლანდელი მდგომარეობა მისთვის ხელსაყრელია. თუ რაღაც კატასტროფა არ დადგა, თავად ივანიშვილი არ მოინდომებს რომელიმე პოსტზე მოსვლას. ეს, აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება მოითხოვონ იმ გარე ძალებმა, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მის მოსვლას ხელისუფლებაში.

***– მას რეგიონებში ხალხთან შეხვედრები აქვს დაგეგმილი..***

– არა მგონია, ამან ვინმესთვის დადებითი შედეგი მოიტანოს. ვფიქრობ, რომ ივანიშვილი მოქალაქეებთან პირისპირ შეხვედრებს ვერ გაბედავს. თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ხალხის ნაწილი, მისი მენტალიტეტიდან გამომდინარე, წამოეგოს მის ახალ დაპირებებს.

***– ახალ დაპირებებზე ის ტელევიზიებითაც ისაუბრებს.***

– არა მგონია, ტელევიზიებით ხშირი გამოსვლები წაადგეს მას და „ქართულ ოცნებას“. რაც მეტი გამოსვლა ექნება, მეტ შეცდომას დაუშვებს. ივანიშვილის გამოსვლები კომიკურიც კი ხდება ხოლმე. ამ დღეებში მან გამოაქვეყნა წერილი. მასში ძალიან დიდი ადგილი ეთმობა ნაციონალურ მოძრაობას. პოლიტიკოსისათვის არ არის კარგი, როცა ის თავის წერილს სხვა პარტიის გინებაზე და არა კონსტრუქციულობაზე აგებს.

***– ითვლება, რომ კონკურენციის მიუხედავად, „ქართული ოცნება“ და ნაციმოძრაობა ერთმანეთს აძლიერებენ. ზოგი მათ შორის გარიგებაზეც საუბრობს.***

– დარწმუნებული ვარ, რომ „ქართული ოცნება“ და ნაციმოძრაობა ერთად არ არიან. მათ შორის დაპირისპირებაა. თავის წერილში ბიძინა ივანიშვილმა ოპონენტი პარტიის გინებისას ფანტასმაგორიული სურათი დახატა. მისი თქმით, სააკაშვილის დროს ქვეყანაში ასეულობით ათასი პატიმარი და პრობაციონერი იყო. იგი იმასაც წერს, რომ ადამიანები საკუთარ სახლებშიც შიშისაგან ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. იმ წლებში ბევრი ნეგატიური რამ ხდებოდა, მაგრამ ასეთი შეფასებები ფანტასტიკის სფეროდანაა. ეს ციფრიც არარეალურია და ჩურჩულიც. იყო გადაცდომები, მაგრამ მაშინ საპროტესტო აქციებიც ეწყობოდა, მათ შორის უნიტაზების თანხლებით. ბიძინა ივანიშვილის წერილში დემოკრატიის მაღალ ხარისხსა და მედიის თავისუფლებაზეც არის გამახვილებული ყურადღება. ესეც ღიმილს იწვევს.

***– ფიქრობთ, რომ დემოკრატიის მხრივაც პრობლემებია?***

– რა თქმა უნდა! კორცხელის ინციდენტისა და რუსთავი 2-ის გარშემო მიმდინარე მოვლენების ფონზე დემოკრატიაზე ლაპარაკი უხერხულია.

***– რისი მაჩვენებელია კორცხელის ინციდენტი?***

– ხელისუფლებამ და „ქართულმა ოცნებამ“ სპორტსმენები მიუსია ოპოზიციას, თანაც, შუალედური არჩევნების დროს.

***– რა სარგებელი მიიღო აქედან ხელისუფლებამ?***

– თავიდან სავარაუდო ჩანაფიქრზე ვიტყვი. ჯერ ერთი, ამით დაგეგმილი იყო ამომრჩევლისა და ოპოზიციის დაშინება. მეორეც, გათვალისწინებული იყო ვიზალიბერალიზაციის შეფერხება. ეს შედის რუსეთის გეგმებში. კორცხელიდან ხელისუფლებამ ჯერჯერობით ვერანაირი სარგებელი ვერ მიიღო, პირიქით, უკუშედეგი ნახა. იმდენად დიდია ევროპისა და ზოგადად დასავლეთის ინტერესი, საქართველო დაუახლოვდეს ევროპას და არ დაბრუნდეს რუსეთის პოლიტიკურ სივრცეში, რომ ვიზალიბერალიზაცია გარდაუვალია.

***– რუსთავი 2-ის თემას პოლიტიკურად მიიჩნევთ?***

– ბუნებრივია. სამართლებრივ ჭრილში რუსთავი 2-ს გადაყვანა აბსურდული იქნება. ამ ტელეკომპანიამ ბევრი მეპატრონე გამოიცვალა. გაუგებარია, რატომაა ყველაზე კეთილსინდისიერი ქიბარ ხალვაში და სხვები რატომ ითვლებიან არაკეთილსინდისიერებად? არის ეჭვი, რომ ამ საქმეში მოსამართლეები ასრულებენ ივანიშვილის დავალებებს. ამ ტელევიზიასთან ბრძოლაც შედის რუსეთის ინტერესებში. შეიძლება ეს არხი კავშირშია ნაციმოძრაობასთან, მაგრამ ის არაა დამოკიდებული ხელისუფლებაზე და რუსეთზე. ესაა ყველაზე მძლავრი და პოპულარული ტელევიზია, რომლის საქმიანობა დისკომფორტს უქმნის ხელისუფლებას.

***– არჩევნებს დავუბრუნდეთ. „ქართული ოცნების“ კოალიციის პარტიები ცალ-ცალკე, ან სხვა ბლოკებით მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში, ბოლო დროს პარტია „ქართულ ოცნებასაც“ გამოაკლდა რამდენიმე დეპუტატი. თამაზ მეჭიაური თავის პარტიას ქმნის. პარტია „ქართულ ოცნებას“ მათთან კონკურენცია ექნება?***

– კონკურენცია გარდაუვალია. ვინც კოალიციიდან ან პარტია „ქართული ოცნებიდან“ გამოვიდა, ყველამ სხვისი ნება შეასრულა. ყველა შემთხვევაში ეს იყო ბიძინა ივანიშვილის სურვილი. „ქართული ოცნება“ კოალიციას შექმნის ახალ პარლამენტში. ამასთან დაკავშირებით არ გამოვრიცხავ ერთ საშიშროებას.

***– რა საშიშროებაზე საუბრობთ?***

– საქმე ისაა, რომ ჩვენ არ ვიცით, ვინ ეყოლება სიაში პაატა ბურჭულაძეს. შეიძლება ამ სიაში არ იყვნენ სახელმწიფოებრივად განწყობილი ადამიანები. პაატა ბურჭულაძემ ერთი-ორი პრორუსული განცხადების შემდეგ დაიწყო დასავლური განცხადებების გაკეთება. მთავარი ლოზუნგები არ არის. არაფერს ვამტკიცებ, მაგრამ

## „ქართული ოცნება“ და ნაციმოძრაობა ერთად არ არიან“

პაატა ბურჭულაძის ხალხი შეიძლება პარლამენტში გაერთიანდეს „ქართულ ოცნებასთან“ და მათ ერთად საფრთხე შეუქმნან ქვეყანას.

***– ბევრი ფიქრობს, რომ შეიძლება ბურჭულაძე ნაციონალებთან გაერთიანდეს.***

– ეს ნაკლებად საშიში იქნება. მაფიქრებს ისიც, რომ ბურჭულაძის პარტიაში შევიდა მერაბ მეტრეველი, რომელსაც აფხაზეთის კონფლიქტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხებზე ანტისახელმწიფოებრივი ხედვები აქვს. მისი შეხედულებები ჰგავს რესპუბლიკელების პოზიციებს.

***– გიორგი კვირიკაშვილმა გამორიცხა თანამშრომლობა პატრიოტთა ალიანსთან და ნინო ბურჯანაძის პარტიასთან..***

– იმედი მაქვს, ამ ორ პარტიას ცოტა წარმომადგენელი ეყოლება პარლამენტში. შეიძლება მათთან უმრავლესობა არ შექმნან, მაგრამ შედგეს დროებითი თანამშრომლობა და საფრთხე შეიქმნას ცალკეულ საკითხებზე კენჭისყრისას.

***– რამაზ საყვარელიძის აზრით, ბურჭულაძე, ვაშაძე და გირჩი ალტერნატივაა ნაციმოძრაობის ამომრჩევლისათვის..***

– არა მგონია, რომ გირჩი და ვაშაძე სერიოზულ კონკურენციას უწევდნენ ნაციმოძრაობას, თუმცა, ბევრი რამ ფინანსებზეა დამოკიდებული.

***– ძალადობა მოსალოდნელია არჩევნებზე?***

– ამბობენ, ძალადობისათვის კანონს გავამკაცრებთო. თავისთავად, ეს ცუდი არ არის, თუმცა, კანონით ძალადობა ისედაც არ იყო დაშვებული. მთავარია, იყოს ნება. არ არის გამორიცხული, რომ ხელისუფლებამ წააქეზოს ძალადობა. „ქართული ოცნებისა“ და მასთან დაახლოებული პარტიების წარმომადგენლებმა გააკეთეს საგანგაშო განცხადებები. მათ, ფაქტობრივად, მოიწონეს კორცხელის სისხლიანი ჩხუბი და დასძინეს, რომ ეს დაუსჯელობის ბრალია. მათი მტკიცებით, თუ ნაციონალები არ დაისაჯნენ, ხალხი მათ ქუჩებში გაუსწორდება. ფეისბუქით გავრცელდა ერთი პროფესორის მოწოდება ძალადობისაკენ. იგი მოუწოდებდა ნანა ალექსანდრიას, დატოვოს საქართველო.

***– ნანა ალექსანდრია პოლიტიკურად არ აქტიურობს და რაშია საქმე?***

– მოწოდების ავტორის აზრით, მან ეს უნდა გააკეთოს შვილისა და რძლის გამო. ეს ძალიან სახიფათო სიმპტომებია, ესაა ძალადობისაკენ მოწოდებები. თუ დასჭირდა, ხელისუფლება ძალადობას წაახალისებს.

# ბაჩუკი ქარდავა: „ეს საარჩევნო მოდელი ხელისუფლებას აწყობს“

ნათია ხურცილავა

არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ბაჩუკი ქარდავა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ არსებული საარჩევნო სისტემა უფრო ანტიკონსტიტუციურია, ვიდრე ე.წ. გერმანული მოდელი.

***– ბატონო ბაჩუკი, თუ არსებული საარჩევნო სისტემით ჩატარდა 8 ოქტომბრის არჩევნები, რამდენად იქნება ამისთვის მზად ოპოზიცია?***

– საქართველოში რაც კი აქამდე არჩევნები ტარდებოდა, სწორედ ამ საარჩევნო სისტემით ტარდებოდა. ეს არის საარჩევნო სისტემა, როდესაც ხელისუფლებას აქვს იმთავითვე ძალიან დიდი ბონუსი და უპირატესობა ოპოზიციასთან შედარებით. ამიტომ ვამბობთ ჩვენ, რომ სამართლიანი საარჩევნო გარემო უნდა იყოს და არავინ უნდა იყოს პრივილეგირებულ მდგომარეობაში. გერმანული მოდელის შემთხვევაში არანაირ ბონუსთან არ გვექნება საქმე. რამდენ ხმასაც მიიღებს პარტია, იმდენ მანდატს მოიპოვებს პარლამენტში.

***– ხელისუფლება აცხადებს, რომ გერმანული მოდელი ანტიკონსტიტუციურია. ოპოზიციას რა არგუმენტი აქვს?***

– კონსტიტუციაში გვიწერია, რომ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს აქვს თითო ხმა და არა ორი ხმა. არსებული საარჩევნო სისტემა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ხმები დაემატოს სახელისუფლო პარტიას. ხელისუფლებამ იცის, რომ მას ამომრჩევლის 50%-ზე მეტი მხარდაჭერა არ აქვს, მაგრამ ხელისუფლების შესანარჩუნებლად 50%-ზე მეტი სჭირდება. ამიტომ ყველაფერს აკეთებს, რომ არსებული საარჩევნო კოდექსი შეინარჩუნოს და ცვლილებები არ დაუშვას. ნებისმიერი სხვა ვარიანტი, რომელიც მას უსამართლოდ ხელისუფლების მიტაცების შესაძლებლობას არ აძლევს, მისთვის ანტიკონსტიტუციურია.

***– ექსპერტები აცხადებენ, რომ 8 ოქტომბრის არჩევნების შედეგად მრავალპარტიულ პარლამენტს მივიღებთ და რეალური კოალიციური მთავრობა გვეყოლება. იზიარებთ ამ მოსაზრებას?***

– საარჩევნო სისტემა ვერ იქნება მხოლოდ ამის განმსაზღვრელი ანუ გვეყოლება თუ არა მრავალპარტიული პარლამენტი. დღევანდელი პარლამენტიც მრავალპარტიულია, მინიმუმ 10 პარტიაა დღეს წარმოდგენილი პარლამენტში.

***– კოალიციური ფორმატით მოვიდნენ ისინი, აქ საუბარია არჩევნებში დამოუკიდებლად გამარჯვებულ პარტიებზე.***

– გასაგებია, მაგრამ 3-4 პარტიაზე ნაკლები არც ერთ პარლამენტში არ ყოფილა, არც 2012 წლამდე. დიდი მოლოდინი არც ამ არჩევნებიდან მაქვს. არავინ იცის წინასწარ, თუ როგორ შედეგებს მივიღებთ. რადიკალურად განსხვავებულ შედეგებს მე არ ველოდები. თუმცა, თუ არ მოხდება არჩევნების ტოტალური გაყალბება, თუ არჩევნების ლეგიტიმაციის პრობლემა არ შეიქმნება და თუ ხელისუფლება არ გადაამლაშებს და გარკვეული ზომის ფარგლებში იმოქმედებს, შეიძლება ჩვენ ყოველგვარი მიტინგებისა და ქუჩაში დროშების ფრიალის გარეშე ეს ხელისუფლება სახლში გავისტუმროთ.

ხელისუფლების დამარცხების შემთხვევაში მართლაც არის შესაძლებელი, მრავალპარტიული პარლამენტი მივიღოთ.

***– „ქართულ ოცნებას“ გაუჭირდება გამარჯვება?***

– სოციოლოგიური კვლევებით, ბოლო შუალედური არჩევნებით, იმით თუ როგორ იქცევა ხელისუფლება და რა ჯიუტად არის ჩაბღაუჭებული უვარგის საარჩევნო სისტემას, მაფიქრებინებს, გაუჭირდება, თან ძალიან. წარმატების შანსები მიზერულია.

ბიძინა ივანიშვილის ბოლო წერილი, რომელიც მან რამდენიმე დღის წინ გამოაქვეყნა, იყო ქართველი ამომრჩევლის შანტაჟი. წერილის ქვეტექსტი დაახლოებით ამას გვეუბნებოდა, ჩვენ თუ არ აგვირჩევთ, დაღუპულები ხართ, მოვა მიშა და ყველას დაგიჭერენ, ვისაც მისთვის ხმა არ მიგიცია. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, ასევე არსებული განწყობებით, რომ რთული არჩევნები ელოდება წინ „ქართულ ოცნებას“.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

2016, 2 ივნისი, №129

# „საქართველოში მედიკამენტებზე მოგება შეიძლება 200–300%–ზე ავიდეს“

სოფო ჩიხლაძე

**საქართველოში ფარმაცევტულ ბაზარზე 11.000-მდე დასახელების მედიკამენტია დარეგისტრირებული. ქვეყანაში წამლებზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია.**

**მედიკამენტების შეძენის დროს რამდენად დაცულია საქართველოს მოსახლეობა უხარისხო პროდუქციისგან? წლებია, ეს კითხვა აქტუალობას არ კარგავს.**

ექსპერტთა თქმით, წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ მოქმედ კანონში ბევრი ხარვეზია, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში უხარისხო პრეპარატების რეალიზებას. წლების მანძილზე ფარმაციის დარგი რეგულირებად პროფესიათა ჩამონათვალში იყო, 2005 წელს კი ფარმაცია ამ ჩამონათვალიდან ამოიღეს. მოგვიანებით შეიცვალა წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ კანონიც. ექსპერტები აცხადებენ, რომ კანონი არათუ გაუმჯობესდა, არამედ, პირიქით – გაუარესდა.

– წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ საკმაოდ კარგი კანონი გვქონდა, მაგრამ 2009 წელს ამ კანონში ცვლილებები შეიტანეს და დარგისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. დღეს სახელმწიფოში წამლის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოშლილია. არადა ამ სისტემამ მომხმარებელი ფალსიფიცირებული წამლებისგან უნდა დაიცვას, – აცხადებს საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის პრეზიდენტი ალიოშა ბაკურიძე.

მისი აზრით, იმისთვის, რომ ქვეყანაში წამლის ხარისხის უზრუნველმყოფელმა სისტემამ გამართულად იმუშაოს, 5 ძირითადი საკითხის მოწესრიგებაა საჭირო.

ეს საკითხებია: სახელმწიფო რეგისტრაციის პროცესი; სამკურნალოწამლო საშუალებების მიმოქცევის სფეროში მოღვაწე სუბიექტთა ლიცენზირების საკითხი; სამკურნალწამლო საშუალებების მიმოქცევის სფეროში დასაქმებულ სპეციალისტთა სერთიფიცირება/ატესტაცია; სამკურნალწამლო საშუალებების წარმოების, დამზადების, ხარისხის, ეფექტურობისა და უვნებლობის კონტროლი და ბოლოს, კონტროლი ფასებზე.

– სახელმწიფო რეგისტრაციის პროცესი ხორციელდება, მაგრამ არის სხვადასხვა რეჟიმები: ეროვნული, აღიარებითი, რაც ზოგიერთ შემთხვევაში ხარისხთან დაკავშირებით, ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა, – ამბობს ალიოშა ბაკურიძე.

სხვა ქვეყანაში დარეგისტრირებული მედიკამენტი საქართველოში შესაძლებელია, 24 საათის განმავლობაში დაარეგისტრირო, მაგრამ აქ საქმე ასე მარტივად არ არის.

– იქნებ მწარმოებელმა შეცვალა შეფუთვა, ასევე განახორციელა სხვა ცვლილება, რომლის მყისიერი ასახვა, ან რომლის შესახებაც მყისიერი ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა და ჩვენ შესაძლოა მივიღოთ/დავარეგისტრიროთ განსხვავებული მოქმედებისა და ხარისხის წამალი. ეს გამორიცხული არ არის, – აცხადებს ფარმაცევტთა ასოციაციის პრეზიდენტი.

საქართველოში 4.000-მდე აფთიაქია, ლიცენზირებას კი მხოლოდ ავტორიზებული აფთიაქი და საწარმო, ასევე სპეცკონტროლს დაქვემდებარებული საშუალებების ექსპორტ-იმპორტი საჭიროებს. ფარმაცევტული საქმიანობით დაკავებულ პირთა 75%-ს ნებართვა არ სჭირდება.

ბევრი პრობლემაა სამკურნალწამლო საშუალებების მიმოქცევის სფეროში დასაქმებულ სპეციალისტთა სერთიფიცირება/ატესტაციის კუთხითაც.

– 2005 წლამდე ჩვენი დარგი რეგულირებადი იყო. ფარმაცია მაღალი რისკისა და საფრთხის შემცველი დარგების ჩამონათვალში შედიოდა, თუმცა რეგულირებად პროფესიათა ჩამონათვალიდან ამოიღეს და დღეს ვერ გაიგებ, აფთიაქში ვინ მუშაობს. ფარმაციის სფეროში ნებისმიერი დარგის წარმომადგენელს შეხვდებით, – გვითხრა ალიოშა ბაკურიძემ.

სამკურნალწამლო საშუალებების წარმოება, დამზადება, ხარისხი, ეფექტურობა და უვნებლობის კონტროლი ხორციელდება, მაგრამ ბოლომდე გამართული არ არის.

– გენერიული პრეპარატების შემთხვევაში, სრულყოფილად დადასტურება ბიოლოგიური ექვივალენტობისა, ყველა მოთხოვნის დაცვით, ვერ და არ ხორციელდება. ძირითადი აქცენტი გადატანილია იმაზე, რომ გენერიული პრეპარატები იაფია.

ვეთანხმები, ჩვენი მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომია, მაგრამ ეს სიიაფე ხშირად უფრო ძვირი უჯდება მათ, ვიდრე ის, რომ ორიგინალი მიიღოს. პირველ რიგში, მედიკამენტი ხარისხიანი უნდა იყოს და მერე შეიძლება ფასსზე ვილაპარაკოთ. წამალი იაფი ვერასოდეს იქნება. თუმცა, ბუნებრივია, გენერიული უფრო იაფია, ვიდრე ორიგინალი, აქ ორი აზრი არ არის, – განაცხადა ალიოშა ბაკურიძემ.

◆ ◆ ◆

წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ კანონში არსებულ ხარვეზებზე საუბრობს ჯანდაცვის კონსულტანტი თინა ტურძელაძეც.

სპეციალისტი აცხადებს, რომ მოქმედი კანონით რეგლამენტირებული რეგულირების მოდელი ლიბერალურ იდეოლოგიასაა და ბაზარზე შეზღუდულ ინტერვენციას ითვალისწინებს.

მისი თქმით, ჩარევის მეთოდოლოგიები არ პასუხობენ რეალურ გამოწვევებს.

– მიუხედავად ამისა, საქართველოს მსოფლიოში პრობლემური წამლების მიმართ ყველაზე პოზიტიური სტატისტიკა აქვს, რაც იმაში გამოიხატება, რომ, ჩვენი სტატისტიკით, ბაზარზე არ გვხვდება ფალსიფიკაცია, უხარისხოც მხოლოდ რამდენიმე ერთეულია გამოვლენილი. ეს არ მეტყველებს იმაზე, რომ ამერიკასა და ევროკავშირზე უფრო კარგი მოცემულობა გვაქვს, ეს იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი სისტემა ვერ ავლენს და, შესაბამისად, ვერ აკორექტირებს ამ პრობლემებს, – ამბობს თინა ტურძელაძე.

ასეთ დროს მომხმარებელი ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის იმედადაა დარჩენილი – ბიზნესი არ იკადრებს და ჩვენს ბაზარზე ცუდ წამალს არ გაყიდის.

– ეს სწორი არ არის და სახელმწიფო უნდა იყოს ხარისხის, უსაფრთხოების და ეფექტურობის სისტემური უზრუნველყოფის გარანტი, ხოლო ბიზნესი – თავის პროდუქციაზე პასუხისმგებელი სახელმწიფოს წინაშე, – აცხადებს თინა ტურძელაძე.

◆ ◆ ◆

საქართველოში წამლებზე არსებული ფასი მაღალია. ამას ადასტურებენ ექსპერტები. ანალოგიური განწყობაა მოსახლეობაშიც.

25 მაისს არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ კვლევის შედეგი გაასაჯაროვა.

კვლევის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 47% ფიქრობს, რომ იმ მედიკამენტების ფასი, რისი ყიდვაც ყველაზე ხშირად უწევთ, ბოლო 12 თვის განმავლობაში ძალიან გაიზარდა. 35%-ის აზრით, ცოტათი გაიზარდა, 9%-ს მიაჩნია, რომ ფასი არ შეცვლილა, ხოლო 2%-ის აზრით, ფასი ცოტათი შემცირდა.

ალიოშა ბაკურიძე აცხადებს, რომ ჩვენს ქვეყანაში მედიკამენტები 200, ზოგ შემთხვევაში კი 500%-იანი მოგებით იყიდება.

– ყოველდღიურად რეკლამა კეთდება და წამლები დაახლოებით 100%-ით იაფდება. როგორ, თუ თავის დროზე მათ 200-300%-იანი ფასნამატი არ ჰქონდათ? დავიჯერო, ისინი მედიკამენტებს თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად ყიდიან? – კითხულობს ექსპერტი.

მისი თქმით, მედიკამენტების ექსკლუზიურად შემომტანი კომპანიების შემთხვევაში ფასნამატი შეიძლება ზოგიერთ წამალზე 500%-ც კი იყოს, რადგან მათ კონკურენციას ვერავინ უწევს.

თინა ტურძელაძე ამბობს, რომ საქართველოში წამლების სამომხმარებლო ფასები მათი საწარმოო თვითღირებულების არაადეკვატურია და წამლის ფინანსური ტვირთის აწევაში მოსახლეობას არავინ ეხიდება.

– წამლის ფასი, თვითღირებულების გარდა, მისი ლოჯისტიკის და პრომოუშენის ხარჯსაც მოიცავს. ქართულ სამომხმარებლო ფასებში დიდია არაპროფილი ხარჯიც, მაგალითად ის, რომ ფარმაცევტული ბიზნესი ინახავს სამედიცინო სერვისებს... ცხადია, ეს დანახარჯი წამლის ფასზე აისახება, – აღნიშნავს ექსპერტი.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, იმის მიხედვით, თუ რა დაავადებაა აქტიური, ყოველწლიურად განაახლებს აუცილებელი მოხმარების – ესენციალური წამლების – ნუსხას, რომელიც 350-ს შეადგენს. ეს წამლები იაფი უნდა ღირდეს, რათა შეჭირვებულმა მოსახლეობამ მათი შეძენა შეძლოს. ესენციალურ წამლებზე მოგება 5%-ს არ უნდა აღემატებოდეს. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ყველა წევრ ქვეყანას აძლევს ამის გათვალისწინების რეკომენდაციას.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე 24 წელია, საქართველო ამ ორგანიზაციის წევრია, აღნიშნული რეკომენდაცია ჩვენთან ჯერ არავის გაუთვალისწინებია.

– საქართველოში სასიცოცხლოდ აუცილებელ მედიკამენტებზე მოგება 30%-დან იწყება და შეიძლება 200-300%-ზეც კი ავიდეს. ესენციალური მედიკამენტების შეძენა მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, მაგრამ ეს არ ხდება. რატომ? იმიტომ, რომ ალბათ, არ არის შესაბამისი ნება, – აცხადებს ალიოშა ბაკურიძე.

ექსპერტი ამას ლობიზმით ხსნის.

– ნება ჩახშობილია ლობიზმის მიერ. ფარმაციის დარგი ბიზნესში ლობიზმის თვალსაზრისით მსოფლიოში, ენერგეტიკის და თავდაცვის შემდეგ, მესამე ადგილზეა. აქ დიდი ლობისტური კომპანიები მუშაობენ, რომლებსაც არ სურთ პროცესები დარეგულირდეს, რადგან, დარეგულირების შემთხვევაში, ასეთი მიდგომები ვეღარ იქნება, – მიიჩნევს ფარმაცევტთა ასოციაციის პრეზიდენტი.

◆ ◆ ◆

ექსპერტების განცხადებით, დღეს საქართველოში ფარმაცევტულ ბაზარზე შეთანხმებული და მაღალი ფასებით მედიკამენტების მწარმოებელი და იმპორტიორი კომპანიები ზემოგებაზე მუშაობენ. გასულ წელს შექმნილი კონკურენციის სააგენტო კი, რომლის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა ეკონომიკური აგენტის საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვაა, დაკისრებულ მოვალეობას ფარმაციის სფეროში ვერ ასრულებს.

– დღეს ფარმაცევტულ ბაზარზე ყველაფერი შეთანხმებით ხდება. თუ დასჭირდათ, მომხმარებელს მოულოდნელად დემპინგურ ფასებს შესთავაზებენ. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ბაზარზე მხოლოდ მსხვილი კომპანიები დარჩნენ და სხვა არავინ. მოსახლეობისთვის ამას არავინ აკეთებს. ბაზარი არის მონოპოლიზებული, – ამბობს ალიოშა ბაკურიძე.

ამ მოსაზრებას იზიარებს ჯანდაცვის კონსულტანტი თინა ტურძელაძე.

– რამდენადაც ვიცი, კონკურენციის სააგენტოს ფარმაცევტული ბაზრის მოკვლევა არ დაუწყია, შესაბამისად რაიმე გავლენებზე ვერ ვისაუბრებ. ჩემი სუბიექტური მოსაზრებით, ბაზარზე რამდენიმე კომპანიის დომინანტი გავლენა თვალსაჩინოა.

ახალი მოთამაშის შემოსვლით ცვლილებების მოლოდინი გაჩნდა, თუმცა მდგრად შედეგებზე საუბარი ჯერ ნაადრევია, – ამბობს ექსპერტი.

მისი აზრით, თუკი კონკურენციის სააგენტო მიიღებს რაიმე გადაწყვეტილებას, ეს უნდა ემყარებოდეს ბაზრის კვალიფიციური შესწავლით დადგენილ დიაგნოზს, ვინაიდან ჩვენ გვჭირდება თანაბარ პირობებში კონკურენციის შესაძლებლობები და არა – წარმატებულის წარუმატებელთან გათანაბრება.

– რამდენადაც ვიცი, არ დაწყებულა ბაზრის შესწავლა. ამის გაჭიანურება არ ღირს. ბაზარზე მონოპოლიური ძალაუფლების მქონე კომპანიები გვყავს. მათ რისკების შემცირების მიზნით მოახდინეს სხვადასხვა ბიზნეს მოდელებში ინტერვენციები, დივერსიფიკაციები, თვითონ ახდენენ მოთხოვნის ფორმირებას წამალზე, ბაზარს პროდუქტს თვითონვე აწოდებენ, თვითონვე მართავენ ფინანსურ რისკებს სადაზღვევო კომპანიების სახით. ეს ანომალია ბევრად უფრო დიდი პრობლემაა, ვიდრე ფასებზე შეთანხმება, – მიაჩნია თინა ტურძელაძეს.

◆ ◆ ◆

საქართველოში წამლის ხარისხზე პასუხისმგებელია სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო, რომელიც მედიკამენტების კონტროლს შერჩევითი პრინციპით ახორციელებს.

დარგის სპეციალისტების განცხადებით, იმისთვის, რომ ვიცოდეთ, თუ რა ხარისხის პროდუქცია იყიდება ქართულ ბაზარზე, მხოლოდ ეს მეთოდი საკმარისი არ არის.

– წამლის ხარისხის კონტროლის კუთხით მხოლოდ შერჩევითი კონტროლის მექანიზმი არსებობს. რეგულირების სააგენტოში დღეს ამ განხრით დაახლოებით 10 სპეციალისტი მუშაობს, ქვეყანაში კი 4.000-მდე აფთიაქია. რომელ ხარისხის კონტროლზე შეიძლება ვისაუბროთ? როგორ შეიძლება გასწვდეს 10 ადამიანი 4.000 აფთიაქს? – კითხულობს ალიოშა ბაკურიძე

თინა ტურძელაძის განცხადებით კი, მიკვლევადობის ქართული სისტემა, რომლის ნაწილიცაა შერჩევითი კონტროლის პროგრამა, ბნელ ოთახში შავი კატის დევნას ჰგავს.

– ამ კონტროლისთვის ყოველწლიურად გამოყოფილი 100 ათასი ლარი ზოგადად ძალიან ცოტაა წამლის კონტროლისთვის, მაგრამ ამ პროგრამის სახით წყალში გადაყრილი ფულია. ქვეყანამ მიკვლევადობის ახალი სისტემა უნდა შექმნას, რასაც წლები სჭირდება.

მთავარი კომპონენტები, უნივერსალური საიდენტიფიკაციო კოდების და სასაქონლო ტრანზაქციების ელექტრონული ბაზების შესახებ, ჯერ კიდევ 2011 წელს შევთავაზეთ ხელისუფლებას. 5 წელი უკვე დაიკარგა. დღეს ქვეყანა მარტო, განიარაღებული დგას ფალსიფიკაციის გლობალური გამოწვევის წინაშე. აუცილებელია თანამედროვე ინტეროპერაბელური სისტემების შექმნა და ამ სისტემით მსოფლიოს წამყვან სისტემებთან თანამშრომლობა. პრობლემის იგნორირება სწორი პოზიცია არ არის, – აცხადებს თინა ტურძელაძე.

„ახალი თაობა“ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს დაუკავშირდა. მათ ჩვენს კითხვებს წერილობით უპასუხეს.

სააგენტოს ვკითხეთ, რამდენად საკმარისია მედიკამენტების კონტროლის არსებული მექანიზმი და რამდენი სპეციალისტი ახორციელებს მედიკამენტების შერჩევით კონტროლს.

ამ კონკრეტულ კითხვებზე მათ პასუხი არ გაუციათ.

სააგენტოში აცხადებენ, რომ სახელმწიფო პოლიტიკა ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევის სფეროში საქართველოს ბაზარზე ეფექტიანი, უსაფრთხო და ხარისხიანი ფარმაცევტული პროდუქტის არსებობას ითვალისწინებს.

– ფარმაცევტული პროდუქტის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სააგენტო მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებს:

ფარმაცევტული პროდუქტის ბაზარზე დაშვება (რეგისტრაცია), რომლის დროსაც ხდება სააგენტოში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ადმინისტრაციული, ასევე, მეცნიერულ-ტექნიკური ექსპერტიზა. საჭიროების შემთხვევაში, ნიმუშები საანალიზოდ, ლაბორატორიული კონტროლისთვის იგზავნება;

ფარმაცევტულ წარმოებაზე, ავტორიზებულ აფთიაქზე, ფარმაკოლოგიური საშუალებების კლინიკურ კვლევაზე და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების ექსპორტ-იმპორტზე ნებართვების გაცემა;

ფარმაცევტული პროდუქტის სერიის აღრიცხვის სისტემური კონტროლი;

მიკვლევადობის დადგენილი წესებისა და შენახვის პირობების დაცვის მდგომარეობაზე კონტროლი;

მოწმდება დაწესებულებების სანებართვო პირობები და სანიტარულ-ჰიგიენურ-ტექნიკური პირობების დაცვის მდგომარეობა, – გვითხრეს სააგენტოში.

სააგენტოს განცხადებით, სამკურნალო საშუალების შერჩევითი კონტროლის განხორციელებისას, სააგენტო ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზატორებისგან შეისყიდის სამკურნალო საშუალების ნიმუშს. აწარმოებს მის ვიზუალურ დათვალიერებას და ადგენს შეფუთვა-მარკირების, ვარგისიანობის, საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების, დისტრიბუციის უფლებისა და სხვა, კანონით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის მდგომარეობას.

საჭიროების შემთხვევაში, სააგენტო უზრუნველყოფს შესყიდული სამკურნალო საშუალების ნიმუშის ლაბორატორიულ კვლევას.

◆ ◆ ◆

დღეს ქართულ საფთიაქო ქსელში ძირითადად იმპორტირებული პროდუქცია იყიდება. საქართველოში მაღალია მოთხოვნა დაუფასოებელ იმპორტირებულ მედიკამენტებზე.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წელს ქვეყანაში სულ 251.6 ტონა დაუფასოებელი წამალი შემოვიდა, რომლის ღირებულებაც 10.927.6 აშშ დოლარს შეადგენდა.

ყველაზე დიდი რაოდენობით საქართველომ ინდოეთიდან შემოტანილი დაუფასოებელი მედიკამენტი მოიხმარა – 3.319.1 აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია. მეორე პოზიციაზეა შვეიცარია – 1.551.7 აშშ დოლარი, მესამეზე კი აშშ – 751.6 აშშ დოლარი.

რაც შეეხება დაფასოებულ სამკურნალო საშუალებებს, გასულ წელს კომპანიებმა საქართველოში სულ 10.199.9 ტონა მზა მედიკამენტი შემოიტანეს. მისი ღირებულება 745.375.2 აშშ დოლარით განისაზღვრა. ყველაზე დიდი რაოდენობით დაფასოებელი მედიკამენტების იმპორტი განხორციელდა ირლანდიიდან – 449.132.0 აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია, თურქეთიდან – 81.229.4 აშშ დოლარის და გერმანიიდან – 25.763.0 აშშ დოლარის მედიკამენტები.

2015 წელს ქვეყანაში წარმოებული დაფასოებული სამკურნალო საშუალებების დიდი ნაწილი ადგილობრივ ბაზარზე გაიყიდა, ექსპორტზე მხოლოდ 505.7 ტონა გაიტანეს.

საექსპორტო ბაზრის სამეული ასეთია: უზბეკეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი.

რაც შეეხება დაუფასოებელ მედიკამენტებს, ექსპორტზე მხოლოდ 1.8 ტონა გაიყიდა.

## ალიოშა ბაკურიძე: „დღეს ფარმაცევტულ ბაზარზე ყველაფერი შეთანხმებით ხდება“

# ბიზნესმენთა ფედერაცია ვანო ჩხარტიშვილს სასამართლოში უჩივის

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია ვანო ჩხარტიშვილს სასამართლოში უჩივის და გერგეთის №3-ში მდებარე შენობის დაბრუნებას ითხოვს.

2008 წელს ჩხარტიშვილმა ფედერაციას გარიგება შესთავაზა – გერგეთის №3-ში მდებარე მისი კუთვნილი შენობა გადაეცა, ძველ შენობას დაანგრევდა და ამავე ადგილზე, მრავალსართულიან კორპუსს ააშენებდა, საიდანაც 700 კვ.მ-ს ფედერაციას გადასცემდა.

შეთანხმება ჩხარტიშვილის კუთვნილ კომპანია „ეს ჯი კომპანისა“ და ბიზნესმენთა ფედერაციას შორის გაფორმდა, რომელსაც იმ პერიოდში გიორგი ისაკაძე ხელმძღვანელობდა. იმ დროისთვის „ეს ჯი კომპანიში“ ისაკაძეს 10%-იანი წილი, ხოლო 90% – ჩხარტიშვილის საკუთრებაში არსებულ „სონატა ალიანს ჯორჯიას“ ეკუთვნოდა.

საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციამ თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი 2015 წლის დეკემბერში შეიტანა და შპს „ეს ჯი კომპანისგან“ გერგეთის №3-ში მდებარე შენობის დაბრუნება მოითხოვა.

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მანამდე ორიოდე თვით ადრე ბიზნესმენებმა ჩხარტიშვილის წარმომადგენელი დაიბარეს და შენობის დაბრუნება მორიგების გზით სცადს.

ჩხარტიშვილმა ბიზნესმენებს შეუთვალა, დრო მომეცით და ყველაფერს მოვაგვარებო, მაგრამ პარალელურად, „ბაზისბანკიდან“ 5-მილიონიანი კრედიტი მოითხოვა და ფედერაციის შენობა იპოთეკით დატვირთა.

ბანკმა კრედიტი კი დაუმტკიცა, მაგრამ ჩხარტიშვილს საკრედიტო თანხა არ აუთვისებია, რადგან ბანკში ანგარიშები დაბლოკეს.

საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის ადვოკატი გოჩა გოგიშვილი აცხადებს, რომ ფედერაციასა და „ეს ჯი კომპანის“ შორის ხელშეკრულება 2008 წლის 10 აპრილს გაფორმდა, რის საფუძველზეც ბიზნესმენთა ფედერაციამ საკუთრების უფლება გადასცა „ეს ჯი კომპანის“ თბილისში, გერგეთის №3-ში მდებარე უძრავ ქონებაზე.

ხელშეკრულების გაფორმების დროს ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ისაკაძე იყო, რომელმაც „ეს ჯი კომპანის“ დირექტორ მამუკა ღვინიაშვილთან ერთად ხელშეკრულებას ხელი მოაწერა.

* * *

ხელშეკრულებაში არსებობს ასეთი პუნქტი:

„მყიდველი (შპს „ეს ჯი კომპანი“) ნასყიდობის საგნის ადგილას ააშენებს მრავალსართულიან შენობას და ამ შენობის ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ, ნასყიდობის საგნის ღირებულებიდან რეგისტრირებულ კავშირს – საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციას, წილის გადახდის სანაცვლოდ, რაც შეადგენს 728.000 ლარს დღგ-ს გარეშე, გადასცემს უძრავი ქონების გადაცემის მომენტისთვის არსებული საბაზრო ფასების გათვალისწინებით აღნიშნული ღირებულების შესაბამის საოფისე ფართს“.

სწორედ ეს პუნქტი ქმნის გაუგებრობას და აჩენს კითხვებს, რის გამოც ადვოკატი გოჩა გოგიშვილი მიიჩნევს, რომ ხელშეკრულება კაბალურია.

– ამ ხელშეკრულებაში მითითებული თანხა 728.000 ლარი მყიდველმა, ანუ „ეს ჯი კომპანიმ“ დამატებითი ღირებულების გადასახადის – დღგ-ს გარეშე უნდა გადაიხადოს, არადა, ამ ტრანზაქციას დღგ ეხება. სამწუხაროდ, არც დღგ-ს თანხა გადახდილა და არც აღმასრულებელ დირექტორს უთქვამს ვინმესთვის, რომ დღგ-ს თანხა წარმოიშვა, რომელიც გადასახდელია, – განმარტავს ადვოკატი.

ამ წლების მანძილზე საგადასახადომ ფედერაციას უამრავი ჯარიმა-საურავი, დაახლოებით, ნახევარი მილიონი ლარის ფარგლებში დაარიცხა. ამ ტრანზაქციიდან გამომდინარე, ბიზნესმენთა ფედერაციას ადევს საგადასახადო გირავნობა-იპოთეკა.

– სამართლებრივად საკმაოდ მძიმე სურათია და ამ ხელშეკრულების გამო, ბიზნესმენთა ფედერაცია დღეს უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება. გარდა ამისა, ხელშეკრულებაში ვადები გათვალისწინებული არ არის, ანუ არსად წერია, როდის უნდა დაეწყო „ეს ჯი კომპანის“ მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობა ან როდის დაასრულებდა მშენებლობას, – ამბობს გოჩა გოგიშვილი.

ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ ვიდრე ბიზნესმენთა ფედერაციას ახალ შენობაში კუთვნილი ფართი საკუთრებაში გადაეცემოდა, შესაბამისი საოფისე ფართი „ეს ჯი კომპანის“ იჯარით უნდა დაეთმო. ხელშეკრულებაში წერია, რომ მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობის დაწყებამდე მხარეებს შორის იჯარის ხელშეკრულებაც უნდა გაფორმებულიყო:

– მყიდველი იღებს ვალდებულებას, ნასყიდობის ადგილზე მშენებლობის დაწყებამდე საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციას გაუფორმოს იჯარის ხელშეკრულება.

ადვოკატის თქმით, განმარტებული არ არის, სად, რა პირობებით, როგორ და რა ვადით უნდა გაფორმებულიყო იჯარის ხელშეკრულება.

– მხოლოდ ის წერია, რომ ამასთან დაკავშირებით მხარეებს ცალკე ხელშეკრულება უნდა გაეფორმებინათ, რაც არასდროს გაფორმებულა, – აღნიშნავს გოჩა გოგიშვილი.

მისი განცხადებით, მას შემდეგ, რაც ბიზნესმენთა ფედერაციამ სამართლებრივი დავა დაიწყო, გიორგი ისაკაძემ შპს „ეს ჯი კომპანიში“ თავისი კუთვნილი წილი გაასხვისა და 90%-იანი წილის მფლობელს, ანუ „სონატა ალიანს ჯორჯიას“ გადასცა. რაც შეეხება სარჩელს, გოჩა გოგიშვილის თქმით, საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია ამ ხელშეკრულების მოშლას ითხოვს.

– მიუხედავად ხელშეკრულებაში არსებული კაბალური და უცნაური პირობებისა, ბიზნესმენთა ფედერაციამ გაითვალისწინა, რომ 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომი მიმდინარეობდა, რასაც მოგვიანებით, ეკონომიკური კრიზისიც მოჰყვა. კეთილსინდისიერების შემთხვევაში, ამ ფაქტორებს ობიექტურად შეეძლო მშენებლობის შეფერხება, – ამბობს ადვოკატი.

მისი თქმით, ამდენი წლის მანძილზე ფედერაცია ელოდა, რომ „ეს ჯი კომპანი“ ვალდებულებას შეასრულებდა, მაგრამ დღეს აშკარაა, რომ ლოდინს აზრი აღარ აქვს.

– ვინაიდან მეორე მხარე ვალდებულებას არ ასრულებს, ბიზნესმენთა ფედერაცია ხელშეკრულებიდან გასვლას ითხოვს, რასაც შედეგად ქონების უკან დაბრუნება უნდა მოჰყვეს. თუმცა პრობლემა ის არის, რომ სადავო ქონება, ანუ ბიზნესმენთა ფედერაციის შენობა, იპოთეკითაა დატვირთული, ამიტომ სასარჩელო მოთხოვნაში თანხის გადახდასა და ზიანის ანაზღაურებასაც ვითხოვთ, – განმარტავს ადვოკატი.

* * *

გიორგი ისაკაძე, რომელიც 2003-2008 წლებში საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციას ხელმძღვანელობდა, შპს „ეს ჯი კომპანიში“ 10%-იან წილის ფლობასაც ადასტურებს და იმასაც განმარტავს, რატომ დათმო ეს წილი სრულიად უსასყიდლოდ.

– ჯერ ერთი, არ ვთვლი, რომ ცუდი პირობები იყო. მეორე – ყველა დაინტერესებულ პირს ვურჩევ, თუ ამ საკითხთან დაკავშირებით, რამე ეჭვი აქვთ, საგამოძიებო სტრუქტურებს მიმართონ. თუმცა, შევახსენებ, რომ ყველა გადაწყვეტილებას წინ უძღოდა ბიზნესმენთა ფედერაციის საბჭოს თანხმობა, რომელსაც რამდენიმე ადამიანი აწერს ხელს და რომლითაც ეს გადაწყვეტილება მივიღეთ. სხვა დეტალებზე საუბარს არ ვაპირებ, ეს ეხება, დაახლოებით, 20-30 ბიზნესმენს, რომლებიც დღეს ამ თემის ირგვლივ გაერთიანდნენ, – აცხადებს გიორგი ისაკაძე.

მისი თქმით, ფედერაციის კუთვნილი შენობა მხოლოდ მას შემდეგ გაახსენდათ, რაც მამუკა ხაზარაძესა და ივანე ჩხარტიშვილს შორის დავა დაიწყო.

– მათ შორის საკმაოდ სერიოზული დავა მიმდინარეობს და ბიზნესმენთა ფედერაციის შენობა ამ დავაში აბსოლუტურად მეორეხარისხოვანია. ეს სულ სხვა თემის გაგრძელებაა, რომელიც შესაძლოა, ნებისმიერ დროს სულ სხვა პრიზმაში გადავიდეს, – ამბობს ბ-ნ ისაკაძე.

მას არ აინტერესებს, რა ტიპის დავები მიმდინარეობს მათ შორის.

– ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება, რომ „ეს ჯი კომპანიში“ არსებული აბსოლუტურად ნომინალური წილი, ანუ 10%, რომელიც რეალურად არ მეკუთვნოდა და არაფერში არ გამომიყენებია, უსასყიდლოდ გადამეცა მესაკუთრისთვის.

ამის საქმის კურსში რამდენიმე ადამიანია, თუმცა ვინ არიან ისინი და რა უძღოდა ჩემს ქმედებას წინასწარ, ახლა ამას არ მოვყვები, რადგან ეს პრივატული საუბარი იყო. რამდენადაც იმ პერიოდში ურთიერთობა მქონდა ვანო ჩხარტიშვილთან, ვიცოდი, რომ ამ პირობის შესრულებას აპირებდა, – აცხადებს გიორგი ისაკაძე.

ის ამბობს, რომ ვანო ჩხარტიშვილის მხარეს არ წარმოადგენს და არ იცის, რა ფორმით აპირებს ის პირობის შესრულებას – შენობას დააბრუნებს თუ თანხას გადაიხდის.

– მაგრამ ვიცი, რომ მხარეები ერთმანეთთან პოზიციების დასაახლოებლად ივლიან. ისე უვლიათ, რომ იმის იქეთ წასულან! ეს არის ჩემი პოზიცია ამ საკითხზე. მე ამაში მონაწილეობის მიღებას არ ვაპირებ. დარჩა რაიმე კითხვა? მიმართონ ოფიციალურ სტრუქტურებს! – დასძენს გიორგი ისაკაძე.

**ანი გიგოშვილი**

---

გულიკო ბალაძე

# „ქართულ პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილი მოთამაშე-მწვრთნელად რჩება“

## თენგიზ დიხამინჯია: „ნაციონალური მოძრაობის აკრძალვა მინდა“

**ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „ახალ თაობას" პოლიტიკოსი თენგიზ დიხამინჯია ესაუბრა.**

– მე კოალიციური მთავრობის მომხრე ვარ, მაგრამ „ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის კოალიცია არ გამოვა. კოალიციურმა მთავრობამ გარდამავალი პერიოდისთვის, გარკვეულწილად, გარანტია უნდა მისცეს საზოგადოებას, – აცხადებს თენგიზ დიხამინჯია.

***– დღეს ხომ შეიქმნა ისეთი სიტუაცია, სადაც მრავალი ძალა დომინირებს? შეიძლება კოალიციური მთავრობის შექმნის აუცილებლობა ბუნებრივად წარმოიშვას.***

– კი ბატონო, მაგრამ თან რუსთავი 2-ზე ძალიან ცუდი ამბები ხდება.

***– რას გულისხმობთ?***

– ამ მთავრობამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ვისაც რუსთავი 2 ჭირის დღესავით ეზიზღებოდა, აზრი შესცვლოდა.

***– თუ ქიბარ ხალვაშს ის ქონება წართმეული აქვს, არ უნდა დაუბრუნდეს?***

– ჰო, მაგრამ ამან ისეთი ხასიათი მიიღო, რომ რუსთავი 2 წინასაარჩევნოდ საბოლოოდ უნდა განეიტრალდეს. თუ ამას აკეთებდნენ, ადრე უნდა გაეკეთებინათ. ეს არის საბედისწერო შეცდომა. ანალოგიური ოპერაციები ჩატარდა მაესტროზე.

***– რა პროცესებს აქვს ადგილი, ჩვენთვის ბოლომდე ცნობილი არ არის. მაშინ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების დაპირება როგორ უნდა შესრულდეს?***

– იმის თქმა მინდა, რომ ერთი და იგივე ხელწერაა, რაც ხდება რუსთავი 2-ისა და მაესტროს მიმართ. რუსთავი 2 დანაშაულებრივი პარტიის განაყოფს რომ წარმოადგენს და მათ იდეოლოგიას ემსახურებოდა და დღესაც ემსახურება, ცხადია. ისე არ უნდა გააკეთო, შთაბეჭდილება დატოვო, რომ ყველა ტელევიზიის კონტროლი გინდა.

***– როგორ წარმოგიდგენიათ სამართლიანობის აღდგენა მათთვის, ვისაც ქონება წაართვეს? ხალვაში აცხადებს, რომ თავისი ქონების დაბრუნება უნდა. სულ არ აინტერესებს, იმის იქით რა ხდება.***

– ხალვაშს სრული უფლება აქვს, ქონება დაიბრუნოს. ეს უნდა გაეკეთებინათ გაცილებით ადრე. წინასაარჩევნო პერიოდს არ უნდა დამთხვეოდა.

***– სჯობს გვიან...***

– ჰო, მაგრამ პირდაპირ იკითხება – ხალვაში ჯერ საკაშვილის მარიონეტი იყო, ახლა ამათი მარიონეტია, ზეგ, ხელისუფლება რომ შეიცვლება, იმათი გახდება.

***– პიარი რომ ჩამოვაშოროთ ამ ყველაფერს, მაშინ რა იქნება?***

– რა თქმა უნდა, რუსთავი 2 არის დამნაშავე ხალხის ტელევიზია. კორცხელში ინციდენტი რომ მოხდა ამ ბედოვლათების გამოისობით, სააკაშვილი პირდაპირ ეთერში ჩაერთო. ეს იმაზე მეტყველებს, რომ რუსთავი 2-ს ძირითადად სააკაშვილი აკონტროლებს. ყველა უნდა შეეგუოს იმას, რომ ამ ორგანიზაციას ნაციონალური მოძრაობა აკონტროლებს. ის კი არ უნდა თქვა, მეორე ადგილზე გავლენ და კიდევ ჩვენ ორნი დავრჩებით, მესამე და მეოთხე კი უნდა გაიკრიფოსო. შენ უნდა შექმნა დემოკრატიულ საწყისებზე ნორმალური საარჩევნო გარემო და ისეთი სამართლებრივი ველი, სადაც ყველა თავის ადგილს მონახავს. ამის მაგივრად ხდება ამ მოვლენების გადაფარვა და რაღაც მავნე ტენდენციე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# რუმინეთის პრეზიდენტი: „რუსეთის არ მეშინია“

რუმინეთის პრეზიდენტმა კლაუს იოჰანესმა მკაცრად გააკრიტიკა პუტინი მისი ქვეყნის მიმართ გამოთქმული მუქარების გამო. იოჰანესმა აღნიშნა, რომ რუმინეთში აშშ-ს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განლაგება რუსეთს საფრთხეს არ უქმნის.

– ჩვენ ეს რუსულ მხარეს არაერთგზის განვუმარტეთ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ რუსეთი შეგნებულად ძაბავს საერთაშორისო მდგომარეობას, რათა საკუთარი მოსახლეობის ყურადღება ეკონომიკური პრობლემებიდან სხვაგან გადაიტანოს, – თქვა იოჰანესმა.

რუმინეთს ლიდერმა ხაზი გაუსვა, რომ კრემლის მუქარების არ ეშინია.

– რუსეთის საქციელი მოხუცი დიდგვაროვანი შლიახტიჩის საქციელს გვაგონებს, რომელმაც დიდი ხანია სქესობრივი პოტენცია დაკარგა, მაგრამ მაინც ძველებური დროსტარება სურს! რუსეთის არ მეშინია, პირიქით, პუტინის მუქარები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის რუმინეთში განთავსება აუცილებელია, – აცხადეს იოჰანესი.

# საფრანგეთში საგაფიცვო ტალღა ფართოვდება

საფრანგეთში საგაფიცვო ტალღა ფართოვდება. გაფიცვას შესაძლოა ტრანსპორტის მუშაკებიც შეუერთდნენ. გაფიცვა მეზობელ ბელგიასაც მოედო.

ფრანგი მშრომელები ახალ შრომით კოდექსს აპროტესტებენ.

მიუხედავად ამისა, პრეზიდენტი ოლანდი დათმობაზე წასვლას არ აპირებს. მან განაცხადა, რომ ხელისუფლება მშრომელთა უფლებების დასაცავად ყველაფერს აკეთებს, პროფკავშირები კი დიქტატზე გადავიდნენ.

– ჩვენ არავის დიქტატს არ დავემორჩილებით, – აცხადებს ოლანდი.

# რუსეთში მიწაზე მუშაობა აღარ სურთ

შორეულ აღმოსავლეთში მიწის უფასოდ დარიგება დაიწყეს. სახელმწიფო დუმამ ამის თაობაზე სათანადო კანონი მიიღო, თუმცა მიწების უმრავლესობას უმეტესწილად ჩინელები ეპატრონებიან.

– კანონი ნაჩქარევად იქნა მიღებული. კომუნისტურმა რეჟიმმა ჩვენი ხალხი შრომას გადააჩვია! ალბათ უპრიანი იქნებოდა, ჯერ მეპატრონის გრძნობები გაგვეღვივებინა ხალხში, – აცხადებს ვლადიმერ ჟირინოვსკი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# ლავროვი: „დონბასში ეუთოს პოლიციური მისია გამორიცხულია“

პრეზიდენტ პოროშენკოს აზრით, დონბასში მშვიდობის აღდგენის ერთადერთი საშუალება რეგიონში ეუთოს პოლიციური მისიის შეყვანაა.

– ნორმანდიული ოთხეულის (რუსეთი, უკრაინა, გერმანია, საფრანგეთი) პრეზიდენტები ამაზე უკვე შეთანხმდნენ, – იტყობინება უკრაინის პრეზიდენტის პრეს-სამსახური.

ამ განცხადებას დონეცკ-ლუგანსკის „რესპუბლიკების“ ლიდერების ზახარჩენკოსა და პლოტნიცკის მკვეთრი რეაქცია მოჰყვა.

– ეუთოს პოლიციური მისიის შემოყვანას არ დავუშვებთ, – აცხადებენ სეპარატისტების ლიდერები.

მათ აქტიურად დაუჭირა მხარი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა.

– დონბასში ეუთოს პოლიციური მისიის შემოყვანა არარეალურია, რადგან დონბასელებს ეს არ სურთ, – აცხადებს ლავროვი.

მინისტრმა თქვა, რომ რუსეთი დონბასს მხარს უჭერს და მომავალშიც დაუჭერს. მან უარყო ცნობები იმის თაობაზე, რომ მოსკოვი ევროპასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს და კომპრომისულ ვარიანტებს განიხილავს.

– ჩვენი პოზიცია ნათელი და გარკვეულია, დონბასს უკრაინის შემადგენლობაში განსაკუთრებული სტატუსი უნდა მიენიჭოს! რაც შეეხება იქ ეუთოს პოლიციური მისიის შეყვანას, მე ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ. ეუთოს უნდა ჰქონდეს მონიტორინგული და არა პოლიციური ფუნქციები, – განაცხადა ლავროვმა.

# სირიელმა ქურთებმა თურქეთის წითელი ხაზი გადალახეს

სირიაში მოქმედმა „ქურთების სახალხო თავდაცვის“ რაზმებმა ევფრატის დასავლეთით სამხედრო ოპერაციები დაიწყეს.

ამით მათ თურქეთის მერ მონიშნული წითელი ხაზი გადალახეს, რამაც როგორც თურქეთის, ასევე არაბული მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. ასეთმა ქმედებებმა შესაძლოა არაბულ მოსახლეობას ისლამისტების რიგებისაკენ უბიძგოს.

ამერიკის დაზვერვის ცნობით, ქურთების ნაბიჯი რუსების მიერაა ინსპირირებული. წითელი ხაზის გადაკვეთით სირიის ანტიასადურ და ანტიისლამურ ძალებს შორს ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა. მათი ბრძოლაც ისლამისტების წინააღმდეგ უფრო ქაოტური გახდა.

# ნადეჟდა სავჩენკო რადაში სიტყვით გამოვიდა

რუსული ტყვეობიდან დაბრუნებული უკრაინელი მფრინავი, პარლამენტის დეპუტატი ნადეჟდა სავჩენკო თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

მისი პირველი სამუშაო დღე ექსცესით დაიწყო. უმაღლესი რადის შენობასთან მას უცნობი ქალი მიეახლა და ლანძღვა-გინება დაუწყო.

– შენნაირები უნდა ამოახრჩო! – გაჰკიოდა ქალი.

სავჩენკომ პასუხად გაიცინა.

– ყველაფერი მითხარი? გულზე მოგეშვა? აბა კარგად იყავი, – და ამ სიტყვებით ზურგი შეაქცია.

პარლამენტში სავჩენკო სიტყვით გამოვიდა. მან დეპუტატებს მოუწოდა, მთელი ძალისხმევა დონბასისკენ მიმართონ.

– საშუალებას არ მოგცემთ, დაივიწყოთ ის გმირები, რომლებიც დონბასში სისხლს ღვრიან და სამშობლოს იცავენ, – თქვა სავჩენკომ.

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

# განცხადებები

## იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

## მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის განმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო განმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# 20 წლამდე ნაკრები მანჩესტერშია და პირველი მატჩისთვის ემზადება

უმცროსი ბორჯღალოსნები უკვე მანჩესტერში არიან და იქვე აგრძელებენ 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებას, რომელიც სტარტს 7 ივნისს აიღებს. ჩასვლის დღეს სამწვრთნელო შტაბმა მგზავრობის შემდეგ ნაკრები დაასვენა და მთელი დღე აღდგენას დაუთმეს.

შემდეგ კი ნაკრებმა ჩვეულად გააგრძელა საწვრთნელი პროცესი.

ტურნირი 7 ივნისს დაიწყება. უმცროსი ბორჯღალოსნების მატჩების პირდაპირ რეპორტაჟებს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი მეორე არხზე შემოგვთავაზებს.

7 ივნისს ჩვენები ახალ ზელანდიას შეხვდებიან, 11 ივნისს – უელსის ნაკრებს, ხოლო 15 ივნისს კიდევ ერთ ბრიტანულ გუნდს – ირლანდიას.

ეს ჯგუფური ეტაპის მატჩებია, მაგრამ ტურნირი ამ ეტაპით არ სრულდება, რადგან 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველა ადგილი თამაშდება. 20-წლამდელებს კიდევ ორი თამაში ელით და მომავალი მეტოქეები ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ გაირკვევა.

ბოლო, მე-12 ადგილის დაკავების შემთხვევაში საქართველოს ნაკრები მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზეც ითამაშებს, როგორც მასპინძელი ქვეყანა. ასეთ შემთხვევაში ელიტას მე-11 ადგილზე გასული გუნდი დატოვებს.

# ილიას ზუროსმა ეროვნული ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ილიას ზუროსმა ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა გამოაქვეყნა.

ბერძენმა სპეციალისტმა გამოცდილ მოთამაშეებთან ერთად შეკრებაზე ახალგაზრდა მოთამაშეებსაც უხმო.

რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ ნაკრებში ის კალათბურთელები გამოიძახეს, რომლებიც ეროვნული გუნდის ღირსებას სხვადასხვა დროს იცავდნენ – ნიკოლოზ ცქიტიშვილი, გიორგი გამყრელიძე, ანატოლი ბოისა.

ზუროსმა გაფართოებულ შემადგენლობაში იხმო ახალგაზრდები – გიგი გოგობერიშვილი, ლუკა ზაქრაძე, ბექა ბექაური და კახა ჯინჭარაძე. ეს 2 უკანასკნელი ე. წ. სარეზერვო კანდიდატები იქნებიან. ბექაური და ჯინჭარაძე საქართველოს ბ ნაკრებში იქნებიან და გუნდს ჩინეთში, საერთაშორისო ტურნირზე საასპარეზოდ გაჰყვებიან. თუკი ეროვნულ გუნდს ძირითადი შემადგენლობიდან ვინმე გამოაკლდება, მათ ადგილს დაიკავებენ.

ეს გახლავთ სამუშაო, წინასწარი სია, რომელმაც სამწვრთნელო შტაბის შეკრების შემდეგ, შესაძლოა, მცირე ცვლილება განიცადოს.

**გთავაზობთ აღნიშნულ გაფართოებულ სიას:**

ზაზა ფაჩულია, გიორგი ცინცაძე, ანატოლი ბოისა, ვიქტორ სანიკიძე, გიორგი შერმადინი, მანუჩარ მარკოიშვილი, ნიკოლოზ ცქიტიშვილი, ნიკა მეტრეველი, ბექა ბურჯანაძე, დუდა სანაძე, გიორგი გამყრელიძე, თორნიკე შენგელია, გიორგი შარაბიძე, ბესიკ ლეჟავა, ლუკა ზაქრაძე, გიგი გოგობერიშვილი, კახა ჯინჭარაძე, ბექა ბექაური.

როგორც ხედავთ, სიაში არ არის არც ერთი ნატურალიზებული კალათბურთელი. ჯერ გადაწყვეტილი არაფერია მაიკ ჯემსთან დაკავშირებით, რომელიც თორნიკე შენგელიასთან ერთად ესპანური ლაბორალ კუჩას შემადგენლობაშია.

მასთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს და არ არის გამორიცხული, საქართველოს ნაკრების მაისურითაც ვიხილოთ.

# თორნიკე შენგელია თან ფორმას აღიდგენს და თან ფინალისკენ მიიწევს

მას შემდეგ რაც ესპანურ ლაბორალ კუჩას ქართველი ფორვარდი თორნიკე შენგელია დაუბრუნდა, 2 აქამდელ მატჩში, გრან კანარიასთან მეოთხედფინალური სერიაში, ჯამში 5 წუთი ითამაშა, ბოლო, გადამწყვეტ შეხვედრაში კი, 6 წუთით გამოჩნდა მოედანზე და 5 ქულით ვიტორიელთა გამარჯვებაში საკუთარი წილი დაიდო.

შენგელიას მენისკის ოპერაციის შემდეგ 3-თვიანი რეაბილიტაცია დასჭირდა და მოედანს ახლახან დაუბრუნდა, თუმცა, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ტრავმის შემდეგ ფორმაში შედის და მოედანზე მცირე ხნით გადის.

როგორც ვთქვით, ქართველმა ფორვარდმა კანარელებთან 6 წუთში 5 ქულა ჩააგდო – 3-დან 3 საჯარიმო და 3-დან 1 ორიანი მიითვალა, 1 სამიანი კი ააცილა.

ვიტორიელებმა საბოლოოდ 78:71 დაამარცხეს გრან კანარია და ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც ბარსელონას შეხვდებიან.

## შედეგები

**31 მაისი**

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ვიეტნამი-სირია | 2:0 |
| ზიმბაბვე-უგანდა | 2:0 |
| კენია-სუდანი | 1:1 |
| ლუქსემბურგი-ნიგერია | 1:3 |
| სერბეთი-ისრაელი | 3:1 |
| ავსტრია-მალტა | 2:1 |
| ირლანდია-ბელარუსი | 1:2 |

**საბჭოთა სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| პანიონიოსი-აეკი | 1:0 |
| პაოკი-პანათინაიკოსი | 1:1 |

**ჩოგბურთი**

**ხოლან გაროსი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| სტოსური-ჰალეპი | 7:6,6:3 |
| პირონკოვა-ა.რადვანსკა | 2:6,6:3,6:3 |

# საქართველომ ავსტრიიდან გეზი რუმინეთისკენ აიღო

საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა ავსტრიაში ერთკვირიანი შეკრება დაასრულა და გეზი რუმინეთისკენ აიღო. ავსტრიის დაბა ფელდკირხენში ვლადიმირ ვაისის გუნდში ივარჯიშა ტარაგონას ხიმნასტიკის 21 წლის ქართველმა ნახევარმცველმა გიორგი აბურჯანიამ, რომელიც სეგუნდა დივიზიონის გადამწყვეტი მატჩების გამო გუნდს სლოვაკეთთან მატჩის შემდეგ შეუერთდა.

**გიორგი აბურჯანია:**

– მინდა მადლობა გადავუხადო ფეხბურთის ფედერაციას და ნაკრების მწვრთნელს, რომ გაითვალისწინეს გუნდის თხოვნა და მომცეს საშუალება, ესპანეთში კლუბთან ერთად ვყოფილიყავი და გადამწყვეტ მატჩებში მონაწილეობა მიმეღო. ნაკრებს დაგვიანებით მაინც შევუერთდი, უკვე მქონდა პირველი ვარჯიში და ვემზადებით მომავალი მატჩებისთვის. კონცენტრირებულები ვართ ჯერ რუმინეთთან შეხვედრაზე და შემდეგ გავაკეთებთ აქცენტს ესპანეთზე. ამხანაგური თამაშებია და მნიშვნელოვანია შედეგიც და კარგი თამაშის ჩვენებაც.

შეგახსენებთ, რომ აბურჯანიას ეროვნულ გუნდში დებიუტი მიმდინარე წლის მარტში ყაზაზეთთან შეხვედრაში ჰქონდა, მისი კლუბი კი ესპანეთის პრიმერა დივიზიონში გადასვლის რეალური კანდიდატია.

საქართველოს ნაკრები ვენიდან ბუქარესტში გაემგზავრა. მსოფლიო რეიტინგის მე-19 ნაკრებთან შეხვედრამდე კი ბოლო ვარჯიშს ბუქარესტის ეროვნულ სტადიონზე დღეს ჩაატარებს. ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის სადებიუტო მატჩში მონაწილე რუმინეთისა და საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ამხანაგური თამაში 3 ივნისს თბილისის დროით 22 საათზე დაიწყება.

**რუმინეთში საქართველოს ნაკრები 24 კაციანი შემადგენლობით მიემგზავრება:**

**მეკარეები:** ნუკრი რევიშვილი (მორდოვია, რუსეთი), გიორგი მაკარიძე (ფეირენსე, პორტუგალია), როინ კვასხვაძე (ტორპედო);

**მცველები:** გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), სოლომონ კვერკველია (რუბინი, რუსეთი), ალექსანდრე ამისულაშვილი (დინამო), ლაშა დვალი (სლასკი, პოლონეთი), ოთარ კაკაბაძე (დინამო თბ), უჩა ლობჟანიძე (დინამო თბ), გიორგი ნავალოვსკი (სკა ენერგია, რუსეთი), ზურაბ ცისკარიძე (ტეპლიცე, ჩეხეთი);

**ნახევარმცველები:** ჯაბა კანკავა (რეიმსი, საფრანგეთი), ნიკა კვეკვესკირი (ინტერი, აზერბაიჯანი), გიორგი აბურჯანია (ხიმნასტიკი, ესპანეთი), ლევან ყენია (სლავია, ჩეხეთი), ალექსანდრე კობახიძე (დნიპრო, უკრაინა), ვალერი ყაზაიშვილი (ვიტესი, ჰოლანდია), თორნიკე ოქრიაშვილი (ესკიშეჰირი, თურქეთი), ჯაბა ჯიღაური, ვახტანგ ჭანტურიშვილი (ორივე დინამო თბ);

**თავდამსხმელები:** ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), ვლადიმერ დვალიშვილი (პოგონი, პოლონეთი), გიორგი ქვილითაია (დინამო თბ), გიორგი ჭანტურია (დუისბურგი, გერმანია).

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# დონეცკის შახტარს ახალი მწვრთნელი ჰყავს



დონეცკის შახტარში სერიოზული საკადრო ცვლილებებია. მირჩა ლუჩესკუს მაგივრად, რომელიც მომავალი სეზონიდან სანკ პეტერბურგის ზენიტს უხელმძღვანელებს, შახტარში პორტუგალიელი სპეციალისტი პაულო ფონსეკა მივიდა.

ფონსეკა ძირითადად თავის სამშობლოში მუშაობდა და მისი ბოლო გუნდი პორტუგალიური ბრაგა იყო.

ფონსეკამ განაცხადა, რომ შახტარი ძლიერი და ამბიციური კოლექტივია, რომელსაც მაღალი მიზნები აქვს.

შეგახსენებთ, რომ შახტარში ქართველი გიორგი არაბიძე თამაშობს, რომელსაც დიდ საფეხბურთო მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

# პოლ პოგბამ ბარსელონაში სახლი იყიდა

ტურინის იუვენტუსის ფრანგმა ნახევარმცველმა პოლ პოგბამ ბარსელონაში სახლი შეიძინა. ამის შესახებ ინფორმაცია იტალიურ პრესაში ვრცელდება.

ჭორები იმის შესახებ, რომ პოგბა საფეხბურთო კარიერის გაგრძელებას ბარსელონაში აპირებდა ხშირად ვრცელდებოდა და ამ ფაქტმა ეს საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახადა.

ჯერჯერობით პოგბა კომენტარს არ აკეთებს, მაგრამ მისი ბარსელონაში ტრანსფერი საკმაოდ რეალური ჩანს, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დანიელ ალვესი თითქმის უკვე იუვენტუსშია.

შესაძლებელია ბარსელონამ და იუვემ ფეხბურთელები გაცვალონ, ბუნებრივია თანხის დამატებით. ტურინელები პოგბაში გასულ წელს 100 მილიონ ევროს ითხოვდნენ.

**მოამზადა ბექა ვოვინაშვილმა**

## მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

## პრინცმა უილიამმა პოლოს მოედანზე კატა განასახიერა



ბრიტანელმა პრინცმა უილიამმა დიდი ბრიტანეთის საგრაფო ბეკშირში პოლოში საქველმოქმედო მატჩის წინ მოედანზე რამდენიმე ვარჯიში შეასრულა, მათ შორის კატის პოზაც განასახიერა.

კემბრიჯის ჰერცოგი მოედანზე რამდენიმე პროფესიონალ მოთამაშესთან ერთად გავიდა. მათ იოგადან რამდენიმე ასანი გააკეთეს. აღსანიშნავია, რომ თამაშის წინ ვარჯიშის დროს პრინც უილიამსს თეთრი შარვალი ეცვა და მის დასვრას არ მორიდებია.

ცნობილია, რომ პრინცები უილიამი და ჰარი, ასევე მათი მამა, უელსის პრინცი ჩარლზი, პოლოს საკმაოდ კარგად თამაშობენ და ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა საქველმოქმედო მატჩებში.

## ინდოელი რეკორდის დამყარებისთვის კბილებს დაემშვიდობა

ინდოეთის ქალაქ ნიუ-დელის მცხოვრებმა ხარ პარკაშ რიშიმ მსოფლიო რეკორდი დაამყარა, მან პირში ერთდროულად 500 წვენის საწუწნი მილი და 50-ზე მეტი ანთებული სანთელი ჩაიდო. ამისთვის კი მან ყველა კბილი ამოაძრობინა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 74 წლის რიშის შედეგი გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლებმა დააფიქსირეს, თუმცა ამის დამადასტურებელი ინფორმაცია ორგანიზაციის ვებ-გვერდზე ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა.

გარდა ამისა, ინდოელმა კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა, სხეულზე 366 სვირინგი გააკეთებინა სხვადასხვა ქვეყნების დროშების სახით. აღსანიშნავია, რომ ინდოელ მამაკაცს კიდევ 20-ზე მეტი მიღწევა ეკუთვნის, რომლებიც გინესის რეკორდების წიგნის მიერაა აღიარებული.

ასევე აღსანიშნავია, რომ ინდოელი საკუთარ თავს გინეს რიშის უწოდებს. მან უკვე დაიწყო ახალი რეკორდისთვის მზადება. მას სურს, რომ სხეულზე რაც შეიძლება მეტი მსოფლიო ლიდერების სახეები ამოისვირინგოს.

## გერმანელი პენსიონერი მატარებელს გადაურჩა

გერმანიის ფედერალურ მიწა ქვემო საქსონიაში 91 წლის პენსიონერი ქალბატონი მატარებლის ბორბლებქვეშ აღმოჩენას და გარდაუვალ დაღუპვას გადაურჩა. ის სერიოზელ ტრავმებსაც გადაურჩა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პენსიონერი ქალბატონი, რომლის ვინაობა არ სახელდება, რკინიგზის ხაზზე სადგურ ღანგვედეკში ლითონის ყავარჯნების დახმარებით გადადიოდა. მას გადასვლაში ხელი მატარებელმა შეუშალა, რომელიც ამ გზაზე საათში 160 კილომეტრი სიჩქარით მოძრაობდა. როდესაც პენსიონერი მიხვდა, რომ გადასვლას ვერ მოასწრებდა, ის რელსებს შორის ჩაწვა და ყავარჯნები ზევიდან დაილაგა.

მატარებლის მემანქანემ დარტყმის ხმა გაიგონა, მაგრამ იფიქრა, რომ გარეულ ცხოველს დაეჯახა. კაბინიდან გამოსულმა, რათა შეჯახების შედეგი შეემოწმებინა, მხოლოდ ყავარჯენი შენიშნა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ იმავე მარშრუტით მიმავალი მეორე მატარებლის მემანქანემ რელსებს შორის მწოლიარე ქალი ადრევე შენიშნა, შემადგენლობა გააჩერა და სასწრაფო დახმარება გამოიძახა. 91 წლის პენსიონერი ქალბატონის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

## ფლორიდაში ალიგატორმა გოლფის მოთამაშეები შეაშინა

ამერიკის ფლორიდის შტატში უზარმაზარმა ალიგატორმა გოლფის სათამაშო მოედანზე გაისეირნა და მოთამაშეები შეაშინა. მომხდარის ამსახველი ვიდეოჩანაწერი იუთუბიზე ერთ-ერთმა თვითმხილველმა განათავსა და ის ორი დღის მანძილზე 450 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

ვიდეოზე ისმის გოლფის მოთამაშეთა ხმები, რომლებიც ვიდეოს იღებდნენ და ცხოველის გიგანტური ზომების გამო საკუთარ შიშს არ მალავდნენ. სავარაუდოდ ალიგატორის სიგრძე 4,5 მეტრს აღემატებოდა.

## მაშველებმა პატარა მელია გადაარჩინეს

ბრიტანელმა მაშველებმა სანიაღვრეში ჩავარდნილი პატარა მელია გადაარჩინეს. ინციდენტი აღმოსავლეთ სასექსის საგრაფოში მოხდა, ხოლო სამაშველო ოპერაციის ამსახველი ვიდეოჩანაწერი იუთუბიზე 150 ათასმა ადამიანმა ნახა.

მაშველების თქმით, მათ რამდენიმე საათი დასჭირდათ, რათა მელია ვიწრო ხვრელიდან ამოეყვანათ. დიდი წვალების შემდეგ, ერთ-ერთმა მაშველმა მოახერხა ცხოველისთვის ხელი კუდში ჩაევლო და ისე ამოეყვანა სანიაღვრედან. თავდაპირველად მელია ძალიან შეშინებული გამოიყურებოდა. მაშველებმა ის დაბანეს და გაამშრალეს, შემდეგ კი გაუშვეს.

მთელი ამ ხნის მანძილზე, იქვე ახლოს იმყოფებოდა დედა მელია და პატარას განთავისუფლების შემდეგ მასთან ერთად მიაშურა ტყეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# „ქართულ პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილი მოთამაშე-მწვრთნელად რჩება“

**დასაწყისი მე-7 გვერდზე**

ბის წარმოჩენა.

***– მოგეხსენებათ, ბიძინა ივანიშვილმა წერილი გამოაქვეყნა. ის ფიქრობს, რომ დღეისთვის შეიქმნა ისეთი თავისუფალი ველი, სადაც ყველა ძალას შეუძლია თავისი შესაძლებლობების წარმოჩენა. ისე, თუ ავიწროვებენ, რუსთავი 2-დან მუდმივი კრიტიკა როგორ ისმის? თვითონ სააკაშვილი მოითმენდა იმგვარი კრიტიკის 1%ს?***

– მაესტროში ძმები გაჩეჩილაძეების შემოყვანა, გარკვეულწილად, ნიშნავდა შევიწროებას.

***– გაჩეჩილაძეებმა რა დააშავეს? ისინიც ხომ იბრძოდნენ ძალადობის წინააღმდეგ და სააკაშვილის რეჟიმმა სძლია? ამას რომ თავი დავანებოთ, ბიძინა ივანიშვილისგან რა მთავარი გზავნილი მიიღეთ?***

– მთავარი გზავნილი, რაც მე ძალიან არ მომწონს, ქართულ პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის მოთამაშე-მწვრთნელად დარჩენაა.

***– ცუდია მოთამაშე-მწვრთნელად ყოფნა?***

– ძალიან ცუდია. მოთამაშე-მწვრთნელად ყოფნა შეიძლება დიდ კლუბებში, სადაც რამდენიმე მილიარდიანი ბიუჯეტი აქვთ ზოგიერთ ქვეყანასავით. ისინიც კი თავიანთ თავს ფუფუნების უფლებას არ აძლევენ. თუ უმძიმესი მდგომარეობა ან ექსტრემალური ვითარებაა, შეიძლება 2-3 თვე ჰყავდეთ მოთამაშე-მწვრთნელი. ისიც ძალიან დიდი პიროვნება უნდა იყოს, რომელიც ერთმანეთს უთავსებს მწვრთნელისა და მოთამაშის ამპლუას.

***– ქვეყნის ავკარგიანობაზე პასუხისმგებლობა მას თუ ეკისრება?***

– რა თქმა უნდა.

***– მაშინ მწვრთნელად ყოფნასაც რატომ უწუნებთ?***

– ამას წინათ პაატა ბურჭულაძეს ჰკითხეს (ჩემი ტერმინით რომ ვთქვათ), თქვენც მოთამაშე-მწვრთნელად გინდათ რომ იყოთო? არა, მე თუ პრემიერობას შემომთავაზებენ, საქმეს ბოლომდე მივიყვანო.

***– პაატა ბურჭულაძეს ბიძინა ივანიშვილის გუნდზე უკეთესი გუნდი ჰყავს, რომ დანაპირები შეასრულოს?***

– ამაზე საუბარი არ არის. მან მთავარი თქვა, „ოცნებისგან“ განსხვავებით, ის არ შეეგუება იუსტიციის სამინისტროსა და დანაშაულებრივი სასამართლოს არსებობას. სხვებისგან განსხვავებით, მაგათ მხოლოდ მსხვერპლად არ აღიქვამს.

***– სხვათა შორის, ის ჯაგნარი, რომელიც იყო საქართველოში 2012 წლამდე, გაკვალულია.***

– რა თქმა უნდა.

***– ამიტომ ახლა ნებისმიერს შეუძლია იბრძოლოს გამარჯვებისთვის.***

– ნებისმიერს არ შეუძლია.

***– რატომ?***

– საარჩევნო კანონია ძალიან ცუდი. მაჟორიტარების ინსტიტუტი ისეა მორგებული ხელისუფლებაზე, რომ კოლოსალური ბერკეტები გააჩინა.

***– პოლიტიკურმა ძალებმა არსებული საარჩევნო კანონმდებლობის რადიკალურად შეცვლისთვის რატომ არ იბრძოლეს 2013-14-15 წლებში? არჩევნების წინა დღეს ლაპარაკს რა აზრი აქვს?***

– ქუჩაში გამოსულიყვნენ?!

***– მშვიდობიანად გამოსულიყვნენ და მოეთხოვათ. თუ საზოგადოების უმრავლესობა მხარს უჭერდა, უნდა გამოეყვანათ.***

– ახლა ამ ყველაფერმა კომიკური ხასიათი მიიღო. რადგან ხმალაძე რესპუბლიკელია, ისეთნაირად გააკეთა, რომ სატელევიზიო ეთერი ჩამოაჭრა ნათელაშვილს, ბურჯანაძესა და სხვებს და გაუნაწილა ვაიკოალიციაში შემავალ სუბიექტებს, რაც არასამართლიანია.

***– ბიძინა ივანიშვილის წერილიდან დადებითი ვერაფერი ამოიკითხეთ?***

– დადებითი ის ამოვიკითხე, რომ მეტ-ნაკლებად დემოკრატიული ფონი და სუნთქვა შეიძლება. გარკვეულწილად, მთელი რიგი ღონისძიებები გატარდა. ადამიანის უფლებები მეტ-ნაკლებად დაცულია, სამართლებრივი ველი მეტ-ნაკლებად მოწესრიგდა. თუმცა, კატეგორიულად არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ მესამე უნდა გაიკრიფოს და ორპარტიული სისტემა უნდა დარჩეს, ნაცები და ქოცები. ამის გულისთვის ყველაფერს აკეთებს.

***– ახლანდელ წერილში ეს სად წერია?***

– ეს პირდაპირ იკითხება.

***– მგონი, პირიქით ამბობს, ყველა ღონეს ვიხმარ, რომ ნაციონალები ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდნენო. თქვენ ნაციონალების ხელისუფლებაში დაბრუნების მომხრე ხართ?***

– პირიქით, ნაციონალური მოძრაობის აკრძალვა მინდა. ძირითადი ბირთვი უნდა გაესამართლებინათ. უდანაშაულო ხალხი კი უნდა დაეტოვებინათ. ეს იქნებოდა სამართლიანობის ფუნდამენტალური აღდგენა.

## ᲐᲡᲢᲠᲝᲞᲠᲝᲛᲜᲝᲖᲘ

### 2 ივნისისთვის

**ᲯᲔᲠᲫᲘ** – ის საქმე, რომელიც ადრე რთული გეჩვენებოდათ, დღეს ძალზე გაგიიოლდებათ. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მშობლებს ან მეგობრებს მიმართეთ. **ᲙᲣᲠᲝ** – ეს დღე ძალიან წარმატებულია მამაკაცებისათვის. მიენდეთ განსაკუთრებით გამახვილებულ ინტუიციას. ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად გიუმჯობესდებათ. **ᲒᲧᲣᲯᲔᲑᲘ** – სასიცოცხლო პოტენციალი გიქვეითდებათ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. მიიღეთ ბევრი ხილი და ბოსტნეული. **ᲥᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ** – საქმის გარჩევები კონფლიქტამდე მიგიყვანთ. თავი შეიკავეთ მკვეთრი გამოთქმებისაგან. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს. **ᲚᲝᲛᲘ** – საკუთარი პრინციპები მტკიცედ დაიცავით. თქვენი ავტორიტეტის შელახვის უფლება არავის მისცეთ. ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. **ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე თქვენი შემოქმედებითი აღმავლობის დასაწყისია. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **ᲡᲐᲡᲜᲝᲠᲘ** – დეპრესიას გასაქანს ნუ მისცემთ. ეცადეთ, საქმით დაკავდეთ. მოულოდნელად მიღებული ინფორმაცია უსიამოვნო იქნება. **ᲦᲠᲘᲐᲜᲙᲐᲚᲘ** – რთული საქმეების მოსაგვარებლად შესაფერისი დღეა. თუ რამეს გადაწყვეტთ, კიდევაც შეასრულეთ. **ᲛᲔᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ** – ბიზნესის სფეროში მომუშავეებისთვის იღბლიანი პერიოდია. სწორი გადაწყვეტილების მიღებაში თანამოაზრეები დაგეხმარებიან. **ᲗᲔᲗᲠᲘᲡ ᲠᲥᲐ** – ახალ სამსახურს თუ ეძებთ, დღეს, სავარაუდოდ, იპოვით. ემოციებს ზედმეტად ნუ გამოავლენთ. თქვენი საქმე მშვიდად და აუჩქარებლად აკეთეთ. **ᲛᲔᲠᲬᲧᲣᲚᲘ** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. პროფესიონალური და პირადი საკითხების მოსაგვარებლად მშვენიერი პერიოდია. **ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ** – ფულს უაზროდ ნუ გაფლანგავთ. არასაჭირო შენაძენისგან თავი შეიკავეთ. იყავით მიზანდასახული და დამოუკიდებელი.

**გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!**

## ᲯᲘᲝᲡᲕᲝᲰᲔᲑᲘ Ბ



**შვეულად:** 1. მშრომელი, დიდად ნაჯაფი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 2. რბილი, ფერადი ფანქრები ხატვისთვის; 3. პირველი იაპონური დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი; 4. ქართლში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ჯიში; 5. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 10. ბულვარული ჟურნალ-გაზეთების სახელწოდება აშშ-ში; 11. ხელოვნური წყალსაცავი აზერბაიჯანში; 12. ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 15. ამერიკული სამხედრო ატომური წყალქვეშა ნავების სერია; 16. ტყეში ბინადარი ეკლებიანი ცხოველი; 17. თეატრის ძველი ქართული სახელწოდება; 20. მელაზე, კურდღელზე სანადიროდ გამოყენებული ბრიტანული ძაღლის ჯიში.

**თარაზულად:** 8. მდინარე მადრიდში; 7. თამბაქოს წარმოების ცენტრი თურქეთში; 8. ქართლსა და კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 9. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 13. რაიმე მოვლენის, პროცესის განვითარების ცალკეული სტადია; 14. კომბინაცია პრეფერანსში; 18. ნიანგის ერთ-ერთი სახეობა; 19. ბრიტანეთის კინოაკადემიის პრიზი; 21. გემების სადგომი ნავსადგურში; 22. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 23. ოსური ხაჭაპური; 24. ლონდონის გარეუბანი, სადაც განთავსებულია ცნობილი ობსერვატორია.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯიოსვოჰდების პასუხები:

**ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა**

**შვეულად**: 1. სალივანი; 2. სფინქსი; 3. ციცქა; 4. ერქვანი; 5. ვენგერი; 10. ქოლერიკი; 11. თაყაიშვილი; 12. ანდერძი; 15. პანიტერია; 16. ილიონი; 17. ლესტერი; 20. შპრეე.

**თარაზულად**: 6. რატიფიკაცია; 7. დროზერა; 8. ფრაქცია; 9. დავოსი; 13. ფინო; 14. კამენა; 18. პერინიონი; 19. ბეილი; 21. აპაჩი; 22. ლიმიტი; 23. ციხისძირი; 24. ტრაილერი.

**ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ**

**შვეულად**: 1. ბანკნოტი; 2. ნირვანა; 3. სმოგი; 4. ქუვეიტი; 5. ვივიენი; 10. ჩინეჩიტა; 11. მუჯურეთული; 12. აზბესტი; 15. კაბალიერო; 16. ჰაიატი; 17. რევანში; 20. დუომო.

**თარაზულად**: 6. კარდიოგრამა; 7. კუბრიკი; 8. ბაიყუში; 9. ვოლანი; 13. ბიტი; 14. გუბაზი; 18. ლელობურთი; 19. ზევსი; 21. ზურნა; 22. სინუსი; 23. აინშტაინი; 24. ტრომბონი.

# მერაბ სეფაშვილი ბაბუა გახდა

მიუხედავად იმისა, რომ მერაბ სეფაშვილს კარიერაში პრობლემები აქვს და უმუშევარი დარჩა, მის პირად ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლეა.

მომღერალი მერაბ სეფაშვილი ორგზის ბაბუა გახდა. მის შვილს ნიკუშას ბიჭი შეეძინა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

ნიკუშას უკვე ჰყავს 6 წლის გოგონა ნინა, ახლა კი ბიჭი ეყოლა, რომელიც პირველ ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს დაიბადა.

ეს სასიამოვნო ინფორმაცია მომღერალმა მიხეილ ზაქარიაშვილმა გაავრცელა:

– მერაბ სეფაშვილის ბიჭს, ნიკუშას ბიჭი შეეძინა! მეორე შვილიშვილი ხალხო! გილოცავ ედუარდოვიჩ! მერაბი პაპა, სასახელო ბიჭი გაგეზარდოს შენსავით!

# ანიტა რაჭველიშვილი დაინიშნა

მსოფლიოში ცნობილი ქართველი საოპერო მომღერალი ანიტა რაჭველიშვილი წარმატებულ კარიერასთან ერთად, პირადი ცხოვრების აწყობასაც ახერხებს. ანიტა დაინიშნა. მისი ნიშნობის შესახებ ინფორმაცია სოციალურ ქსელში გავრცელდა.

მეცოსოპრანოს რჩეული ოთო მაისურაძეა, რომელიც მუსიკოსია. მათ ერთმანეთი რამდენიმე წლის წინ გაიცნეს და დამეგობრდნენ, მოგვიანებით კი მათი ურთიერთობა სიყვარულში გადაიზარდა. ოთომ ანიტას ხელი სთხოვა, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო.

წყვილის ნიშნობა რამდენიმე დღის წინ შედგა. სად გაიმართება ქორწილი ან როდის, ამაზე საუბარი არც ერთს არ სურს.

ანიტა და ოთო ინტერნეტში ერთობლივ ფოტოებს აქვეყნებენ და უამრავ მილოცვას და საუკეთესო სურვილებსაც იღებენ.

# სოფი ლორენი თბილისში 13 ივნისს ჩამოვა



მსოფლიო ვარსკვლავი სოფი ლორენი თბილისში 13 ივნისს ჩამოვა.

მსახიობი საქართველოში ნინო სურგულაძის მოწვევით, საპატიო სტუმრის სტატუსით ჩამოვა. ის თბილისში ვიზიტის ფარგლებში პრემიერ-მინისტრს შეხვდება. ასევე, შეხვდება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს.

ნინო სურგულაძის საქველმოქმედო ფონდი „ნატვრის ხე“ 15 ივნისს მსოფლიო პრემიერას გამართავს. მას დაახლოებით, 200-მდე უცხოელი ჟურნალისტი დაესწრება. ჟურნალისტები ჩამოდიან ლონდონიდან, იტალიიდან, კიევიდან, რუსეთიდან.

უკვე თბილისშია ჩამოსული სოფი ლორენის ვაჟი, დირიჟორი კარლო პონტი, რომელიც საპრემიერო სპექტაკლებს უდირიჟორებს:

– ჩემთვის დიდი პატივია, რომ ამ სპექტაკლს წარვუძღვები თბილისში, სადაც ადამიანებისგან განსაკუთრებულ სიყვარულს ვგრძნობ და ვფიქრობ, შესანიშნავი ჩანაფიქრია ასეთი ხალხისთვის ამ ღონისძიების მიძღვნა.

# რეზო ამაშუკელის იუბილე რუსთაველის თეატრში აღინიშნა

პოეტ რეზო ამაშუკელის 80 წლის იუბილე რუსთაველის თეატრში აღინიშნა. პოეტს იუბილე, რომელიც ბოლო პერიოდში საკმაოდ მწვავე და კრიტიკულ განცხადებებს აკეთებს და პოლიტიკოსებს სხვადასხვა ეპითეტებით ამკობს, კოლეგებმა, მეგობრებმა, ოჯახის წევრებმა და რიგითმა მკითხველებმა მიულოცეს.

საიუბილეო ღონისძიებაზე პოეტმა შეკრებილ საზოგადოებას თავისი ძველი და ახალი ლექსები წაუკითხა. დარბაზში იმყოფებოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებიც, მათ შორის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. რეზო ამაშუკელმა მის მიმართ საქებარი სიტყვები არ დაიშურა და დარბაზმაც საპატიო სტუმარი ხანგრძლივი აპლოდისმენტებით დააჯილდოვა.

– ჯერ 80 წლის არ ვარ. ერთ კვირაში ვხდები. არ მინდოდა არანაირი საიუბილეო საღამო და არანაირი ღონისძიება, მაგრამ არ დავმალავ და პირდაპირ ვიტყვი, მეგობრებმა დამაძალეს. ეს იყო ერთ-ერთი რიგითი პოეზიის საღამო, სადაც რამდენიმე ლექსი წავიკითხე და ჩემი მოკრძალებული ვალი მოვიხადე მკითხველის წინაშე, – განაცხადა რეზო ამაშუკელმა.

# „მანდარინები“ იტალიის 22 კინოთეატრში გადის

ზაზა ურუშაძის გახმაურებული ფილმი „მანდარინები“ იტალიის 22 კინოთეატრში გადის. ინფორმაციას ავრცელებს საქართველოს საელჩო იტალიაში.

ოქროს გლობუსისა და ოსკარის ნომინანტ ფილმს რომის, მილანის, ბოლონიის, მოდენას, პიაჩენცას, ფერარას, ფორლის, ჩესენას, რავენას, ტრევიზოს, პადუას, ვიჩენცას, ფლორენციის, მოლფეტას, სანტარკანჯელო დი რომანიას, პერუჯას, პესკარას, კატანიას, კალიარის, ტრიესტეს, ნოიკატაროს და ფანოს კინოთეატრებში აჩვენებენ.

# პატარძეულში გოგლაობა იზეიმეს

მწერლისა და პოეტის გოგლა ლეონიძის მშობლიურ პატარძეულში სახალხო დღესასწაული გოგლაობა აღნიშნეს.

ღონისძიებაზე შეკრებილებმა პატივი მიაგეს შემოქმედს და მისი გარდაცვალებიდან 50 წელი სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარებით გადაწყვიტეს.

– მეამაყება, რომ მიწევს ყოფნა დიდი პოეტის ნაფუძნარზე. გოგლა ლეონიძე 50 წლის წინათ გარდაიცვალა, მაგრამ როგორ შეიძლება გოგლა გარდაცვლილი წარმოიდგინოთ? ის ყოველდღე ცოცხლდება, როცა მისი შესანიშნავი ლექსები იკითხება, – აღნიშნა პოეტმა თემურ ჩალაბაშვილმა.

*საზოგადოება*

# ნიკა გვარამია: „მოსამართლე ნათია გუჯაბიძემ სახელმწიფო ქონება გაფლანგა“

**დასაწყისი მე-2 გვერდზე**

– ნათია გუჯაბიძეს აკმარეს მხოლოდ სარეკომენდაციო ბარათი. ამ ბარათით დადასტურებულად ჩაითვალა ის ფაქტები, რომ ქალბატონი გუჯაბიძე, როგორც მინიმუმ, ცრუობდა, ხოლო სამართლებრივად თაღლითობდა და ფლანგავდა სახელმწიფო სახსრებს. ჩვენი ინფორმაციით, საქართველოს პროკურატურა ფლობს ამ ინფორმაციას და ამ ინფორმაციით მიმდინარეობს ზეწოლა ქალბატონ გუჯაბიძეზე, – დასძინა გვარამიამ.

მანვე მოუწოდა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს – გაასაჯაროს ამ საქმის ყველა მასალა, რადგან საზოგადოებრივი ინტერესი არის ძალიან მაღალი.

– რუსთავი 2 წინააღმდეგია, რომ მისი საქმე განიხილოს თაღლითობაში შემჩნეულმა მოსამართლემ, რადგან ის არის განსაკუთრებით მოწყვლადი პროკურატურის მიმართ. მთელი ეს პროცედურები უნდა გასაჯაროვდეს, ვინ დაუჭირა მხარი პროკურატურაში გადაცემას და ვინ არა. ნათია გუჯაბიძე მინიმუმ არის თაღლითობაში შემჩნეული, მაქსიმუმ მის წინააღმდეგ მიმდინარეობს სისხლის სამართლის დევნა და პროკურატურას ის ყავს მიბმული როგორც ურთმელიძე, – აღნიშნა რუსთავი 2-ის გენერალურმა დირექტორმა.

* * *

ნიკა გვარამიას განცხადებას რამდენიმე საათში მთავარი პროკურატურა გამოეხმაურა.

– ნიკა გვარამიას მიერ საქართველოს პროკურატურის მისამართით გაკეთებული განცხადება და მასში მოყვანილი ფაქტები არის სრული სიცრუე და არ შეესაბამება რეალობას, – ნათქვამია მთავარი პროკურატურის განცხადებაში.

პროკურატურაში აცხადებენ, რომ საქართველოს პროკურატურაში მოსამართლე ნათია გუჯაბიძის წინააღმდეგ არასდროს შემოსულა საჩივარ/განცხადება, მის მიმართ არ მიმდინარეობს გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა.

– ვფიქრობთ, რომ მსგავსი არასწორი და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებით, დაინტერესებული მხარეები მიზნად ისახავენ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და პროკურატურის დისკრედიტაციას, – ნათქვამია განცხადებაში.

პროკურატურაში აღნიშნავენ, რომ მიუხედავად მსგავსი უპასუხისმგებლო და გადაუმოწმებელი განცხადებისა, პროკურატურა არ და ვერ იქნება ჩაბმული ტელეკომპანია რუსთავი 2-თან დაკავშირებით კერძო სუბიექტებს შორის მიმდინარე სასამართლო დავაში.

– გვინდა მოვუწოდოთ ყველა მედიასაშუალებას, ვიდრე გაავრცელებენ რაიმე ინფორმაციას საქართველოს პროკურატურის საქმიანობის შესახებ, გადაამოწმონ აღნიშნული ინფორმაციის რეალობა ჩვენთან, რომ მომავალში არიდებულ იქნას მსგავსი არასწორი ინფორმაციის გავრცელებით საზოგადოების განზრახ შეცდომაში შეყვანის ფაქტები, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი**
**2 ივნისი**

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 23.00** ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" **12.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **13.00** ტ/სერ. "**ჩინატო ვეტრინე**" **14.05** "ბრაუზერი" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.40** "ინტერვიუწ" – სალომე ასათიანთან ერთად **21.10** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**კოლვეიერი**" (ჰ.კეიტელი)

**08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **11.00** დ/ფ "გაზაფხული დაკვირვების ქვეშ" **13.00** დ/ფ "ბავშვობის შავი ლაქები" **14.00** დ/ფ "კოდის კონცხი" **16.00** დ/ფ "ჩვენი ყოველდღიური საწამლავი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (5 ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.00, 14.40** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.15** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბაბგის ვილი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** სერ. "**ვენდეტა**"**6** სერ. **01.15** მხ/ფ "**იუნაითედი: მიუნხენის ტრაგედია**" **03.30** მხ/ფ "**სნაიპერი**"

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ."**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45** სერ. "**შენი ზოლიაქოს ფერი**" **20.05** სერ. "**შენი ზოლიაქოს ფერი**" **22.00** პროფილი **00.00** P.S. **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. "**ფარსკვლავური ომები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ძვლები**" **15.00** შუადღე **17.30** ცოლები და ქმრები **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.30** გალფის გათამაშება **22.45** სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" **23.55** სერ. "**ჯოჯოხეთი ბორგლებზე**" **0.50** მხ/ფ. **2.30** URBAN STORIES

**06.15** სჯანი **06.40** პატერიკი **06.50** დ/ფ "ნარკომანია-თავისუფლება თუ მონობა" **07.05** ქართული ალბომი **07.50** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**თეში მეცხვარე**" **2** სერ. **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "კრასულა ოვატა-ბარაქის ხე" **15.05** ივერიის ეკლესია **15.20** ქართული ან/ფ **15.30** კონცერტი **17.05** დ/ფ "წერილი ძმას" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.20** დ/ფ **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დრო და ადამიანები **21.30** დ/ფ "ქართველი ლეგიონერი დიმიტრი ამილახვარი" **22.20** ჩვენი საგანძური **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **00.25** ისტორიის დღიური **01.25** "შუადღე ერთსულოვნებაზე"

**მაესტრო** **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05** სერ. "**ტატიანა**" **11.05** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05, 15.30, 1.00** სერ. "**მშვარველი ანგელოზი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ქალთა ექიმი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ფართოა მდინარე**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "**უცხო**"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**2 ივნისისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.1455

ევრო — 2.3929

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1391

100 რუსული რუბლი — 3.2544

## ამინდის პროგნოზი 2 ივნისისთვის

## 2 ივნისიდან

**ჯეიმს მეთიუ ბარი**

**პიტერ პენი**



ფერადი ილუსტრირებული გამოცემა

ილუსტრატორი ერიკ კინკეიდი

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**

## 30 მაისიდან

**ფენიმორ კუპერი**

**უკანასკნელი მოჰიკანი**

ფანტასტიკა, თავგადასავალი

ტომი 2

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

## ცეცხლმოკიდებული ამერიკელი არბალეტიდან გაისროლეს

მსოფლიოს რეკორდის დასამყარებლად ამერიკელმა ბრაიან მაისერმა სხეულზე ცეცხლი წააკიდებინა და ჰაერში აფრინდა. ამ ინფორმაციას გინესის რეკორდების წიგნის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ მამაკაცი ჰაერში აისროლეს მოწყობილობიდან, რომელიც გიგანტურ არბალეტს ჰგავდა. ამან მას საშუალება მისცა, დაახლოვებით 32 მეტრი ეფრინა. ეს უჩვეულო სარეკორდო ნახტომი ერთ-ერთ იტალიურ შოუში აჩვენეს.

ამგვარად, მაისერმა მოხსნა ადრინდელი რეკორდი, რომელიც 1995 წელს ბულგარელმა ვესტა გაეჩკოვამ დაამყარა და ის 22,9 მეტრს შეადგენდა.

## ემბერ ჰერდი ლესბოსელი ყოფილა

ბრიტანული პრესა ავრცელებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ამერიკელი მსახიობის ჯონი დეპის მეუღლემ ემბერ ჰერდმა მალულად გააფორმა სამოქალაქო რეგისტრაცია მეგობარ გოგონასთან.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჰერდმა სამოქალაქო პარტნიორობა ფოტოგრაფ ტასია ვან რისთან ამერიკის კალიფორნიის შტატში ჯერ კიდევ 2008 წლის მარტში გააფორმა.

ინფორმირებული წყაროს ცნობით, ცერემონიაზე მხოლოდ ძალიან ახლო მეგობრები იყვნენ მიწვეულები და მას მკაცრად ასაიდუმლოებდნენ. აღსანიშნავია, რომ ჰერდი შეყვარებულის გვარზე ჩაეწერა, მაგრამ დეპთან ურთიერთობის დაწყების შემდეგ, თავისი ადრინდელი გვარი დაიბრუნა.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 23 მაისს ემბერ ჰერდმა, რომელიც თავის მეუღლე ჯონი დეპზე 23 წლით უმცროსია, სასამართლოში განქორწინების მოთხოვნით სარჩელი შეიტანა და მეუღლეს ოჯახურ ძალადობაში დასდო ბრალი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

რაიონის მოსახლეობასთან მაჟორიტარობის კანდიდატი მართავს შეხვედრას და ჩვეულებისამებრ ათას სისულელეს პირდება. ბოლოს დააყოლა:

– ხალხნო, ოღონდ ხმა მომეცით და 50-50 დოლარსაც დაგირიგებთ.

ხალხს ერთი გლეხი გამოეყო და დეპუტატობის კანდიდატს მიმართა:

– ახალგაზრდა, ენერგიული კაცი ხარ და ალბათ ქალიც მოგინდება ხანდახან, ხომ ასეა?

– კი, ასეა, – შეიშმუშნა და დაბნეულად უპასუხა.

– ალბათ ბორდელშიც დადიხარ ხოლმე, არა? რამდენს იხდი ხოლმე?

– არ ვიცი, 50 დოლარს, თუ ქალი ძალიან მომეწონა 100 დოლარიც გადამიხდია...

– ჰოდა, შე შობელძაღლო, ქალთან ერთ საათში 100 დოლარს იხდი და აქ, 50 დოლარად 4 წელი გინდა, რომ გვიხმარო?

•••

მამაკაცი ბანკის თანამშრომელს ეუბნება:

– თუ შეიძლება, კიდევ ერთხელ გამიმეორეთ ეგ სამი ჯადოსნური სიტყვა...

– თქვენი კრედიტი დაფარულია.

– ერთხელაც, რაა...

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს და ერთი მეორეს სიდედრის გარდაცვალების გამო მისამძიმრების შემდეგ ეკითხება:

– რითი დაიღუპა შენი სიდედრი, საკმაოდ ჯანმრთელად გამოიყურებოდა?

– კარში თითი მოჰყვა და...

– კი მაგრამ, კარში თითის მოყოლისგან დაიღუპა?

– მის ტანჯვა-წვალებას ვერ გავუძელი და თოფი ვესროლე.

•••

ოსს ეკითხებიან:

– ვალოდ, თავი რამ გაგიტეხა?

– პამიდორი მომხვდა!

– კი მაგრამ, პამიდორმა თავი როგორ გაგიტეხა?

– „ბანკაში“ იდო, სენი წილიმე!

***

ექიმი ავადმყოფს ოპერაციას უკეთებს.

– ლანცეტი! – მიმართავს ექთანს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## 31 მაისიდან

# სომერსეტ მოემი

**მთვარე და ექვსპენიანი**

ოქროს ბიბლიოთეკა. ტომი 5

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## დელ ბოსკემ ისკო ევროპის ჩემპიონატის მიღმა დატოვა

ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ მადრიდის რეალის ნახევარმცველი ისკო ალკორკონი ევროპის ჩემპიონატის მიღმა დატოვა.

ისკო იმ 23-კაციან სიაში არ აღმოჩნდა, ვინც ევრო 2016-ზე მიიღებს მონაწილეობას.

ამ სიაში ასევე ვერ მოხვდა ატლეტიკოს შემტევი საულ ნიგესი, რომელმაც გულშემატკივარს თავის ბაიერთან გატანილი ლამაზი გოლით დაამახსოვრა. სამაგიეროდ, დელ ბოსკემ ნაკრებში ლუკას ვასკესს უხმო, რომელიც ასევე მადრიდის რეალის ღირსებას იცავს.

ესპანელები პირველ შეხვედრას 13 ივნისს ჩეხეთის ნაკრების წინააღმდეგ გამართავენ.

## კოლუმბიელი ფეხბურთელი ქალზე ძალადობის გამო დააპატიმრეს

კოლუმბიელი ფეხბურთელი პაბლო არმერო უსიამოვნო ისტორიაში გაეხვა. არმერო კოლუმბიის ნაკრებთან ერთად მაიამიში იმყოფება, სადაც კოლუმბიელები კოპა ამერიკაზე სათამაშოდ ემზადებიან, რომელიც აშშ-ში ჩატარდება.

არმერო სასტუმროში ქალთან ერთად დაბრუნდა, მაგრამ მისმა თანმხლებმა მანდილოსანმა ფეხბურთელს სექსზე უარი უთხრა, რის გამოც არმერომ მისი დასჯა გადაწყვიტა. მან ხელში მაკრატელი აიღო და ქალისთვის თმების შეჭრა გადაწყვიტა. საბოლოოდ, სასტუმროს თანამშრომელმა პოლიცია გამოიძახა და არმერო დააკავეს. ჯერჯერობით უცნობია, რამდენ ხანს გაატარებს არმერო ციხეში, მაგრამ სავარაუდოდ ამ ინციდენტის შემდეგ მას კოპა ამერიკაზე ვეღარ ვიხილავთ.

## როი ჰოჯსონს დრინკვოტერის გამო აკრიტიკებენ

ლესტერის საყრდენი ნახევარმცველი დანიელ დრინკვოტერი როი ჰოჯსონის სიაში ვერ მოხვდა და შესაბამისად ის ევრო 2016-ს გამოტოვებს.

ჰოჯსონის ამ გადაწყვეტილებას ინგლისში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა, რადგან დრინკვოტერის ადგილი ჯეკ უილშერმა და ჯორდან ჰენდერსონმა დაიკავეს, რომლებსაც მთელი სეზონის მანძილზე ტრავმები აწუხებდა.

ინგლისის ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა ალან შირერმა განაცხადა, რომ დრინკვოტერი უნდა ყოფილიყო სიაში, მაგრამ უილშერის და ჰენდერსონის რეპუტაციამ და სახელმა თავის გაიტანა.

შირერმა იმედი გამოთქვა, რომ ჰოჯსონს ეს გადაწყვეტილება სანანებელი არ გაუხდება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ჯოსვოიდი ›



**შვეულად:** 1. უბანი თბილისში; 2. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 3. საჭმელი სოკო; 4. ქართველი კარდიოლოგი, აკადემიკოსი; 5. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 10. მცირე ამპლიტუდის რხევები; 11. აშშ-ს პირველი პრეზიდენტი; 12. ლიბანის დედაქალაქი; 15. ძროხის ხორცის დაბეგვილი და შემწვარი ნაჭერი; 16. მდინარე კიევში; 17. რიცხვებითა და ასოებით გამოსახული, მათემატიკური ნიშნებით შეერთებული სიდიდეების ერთობლიობა; 20. უნგრული ღვინო.

**თარაზულად:** 6. საცეკვაო ხელოვნება; 7. წითელი ფერის შავწინწკლებიანი მრგვალი ხოჭო; 8. მძიმე, გარდამავალი პერიოდი; 9. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 13. ისტორიული სამთავრო სამცხე-ჯავახეთში; 14. მეტროპოლიტენის სახელწოდება ინგლისსა და აშშ-ში; 18. გასართობი თავსატეხი; 19. ძვირფასთვლებიანი ქალის სამკაული; 21. ლუდის სასმელი კათხა; 22. ადამიანის დასნებოვნება პარაზიტი სოკოებით; 23. ამერიკული ბალეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი ქართველი ბალეტმეისტერი; 24. დიდი სახაზავი შიმშა.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**